ბაზიური გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№168 (227) 1-8 მაისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ხმა ღვთისა, და ხმა ერისა...

უამრავი წერილი შემოდის ჩვენს სარედაქციო ფოსტაში, რომლის ავტორები შეკითხვებს გვისვამენ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. მკითხველთა დიდი ნაწილი განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც პრესაში რამდენჯერმე გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუები.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ წერილს:

„პატივცემულო რედაქცია

სხვადასხვა დროს გულდასმით გავეცანი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს, საგაზეთო პუბლიკაციებს ქვეყნის საჭირბოროტო თემებზე და მის ფუნდამენტურ ნაშრომს **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”**. მე არ გახლავართ მწერალი ან პოლიტიკოსი, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი ალექსანდრე საუბრობს ყველასათვის გასაგებ ენაზე. ზოგადად – შემოქმედის, კონკრეტულად კი პოლიტიკური აზროვნების მაღალპროფესიული უნარით დაჯილდოებული ადამიანის ღირსება სწორედ ის გახლავთ, რომ ურთულეს საკითხებზე სავსებით გასაგები ენით ესაუბროს მოსახლეობას. ამ საქმეში კი, როგორც პოლიტიკოსს, ბატონ ალექსანდრეს ნამდვილად არა ჰყავს ბადალი. ამასთან, ყველა მისი უარყოფითი პოლიტიკური პროგნოზი, რომელიც წლების უკან გააკეთა ბატონმა ალექსანდრემ, აღმოჩნდა მეტად ზუსტი და შეუმცდარი, რაც მეტად ძვირად დაუჯდა საქართველოს.

საქართველოს ტოტალური კრიზისიდან გამოყვანას და მის შემდგომ აღმავლობას სწორედ ჭაჭიასთან ბრძენი პოლიტიკოსების ძალისხმევა სჭირდება, ამიტომ, უნდა ვთხოვოთ ბატონ ალექსანდრეს, რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პატივისცემით,

ბადრი ქარაია,
ზუგდიდი

გაზეთ “ილორის” რედაქციას

სწორედ თქვენი გაზეთის მეშვეობით ვეცნობით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და დასკვნებს იმის თაობაზე, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა სააკაშვილისა და **“ქართველი ნაციონალების”** მოდალატეობრივმა საქმიანობამ. ის, რომ ქვეყანა დაიშლებოდა, რომ განადგურდებოდა სულიერება, რელიგია, ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება და სხვა სასიცოცხლო დარგები, ბატონმა ალექსანდრემ იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ წლების წინ, მაგრამ მისი გულისტკივილი, სამწუხაროდ, არც ერმა გაიზიარა და არც ბერმა. შედეგიც სახეზეა – ისეთი აუტანელი პირობებია შექმნილი საქართველოში, რომ კაცი საზღვარგარეთ თუ არ გაიქცა ლუკმა-პურის საშოვრად, აქ შეიძლება შიმშილით ამოსძვრეს სული.

მთლიანად ჩაკლულია საპროტესტო სული, დაშინებულია მოსახლეობა და, ამიტომ, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ახლა საზოგადოებას ბატონი ალექსანდრეს ძალისხმევა, რათა გადავარჩინოთ დაღუპვის პირას მდგარი საქართველო. მის წერილებს კი არაერთხელ დავურწმუნებივართ, რომ ამ ადამიანს გააჩნია უტყუარი პოლიტიკური ალღო, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საქართველომ.

ნელი კაჭარავა,
ზუგდიდი, დევნილი ოჩამჩირედან

ბატონო ალექსანდრე!

მოგმართავთ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომდგენლები, რომლებსაც სამშობლოსათვის წამებული რაინდების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უშუალო წინამძღოლობით მონაწილეობა გვაქვს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ თქვენს თავდადებას და ღვაწლს, იმ დიდ საქმეს, რაც თქვენ გააკეთეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნის დასაფასებლად – მხედველობაში მაქვს ზუგდიდის ცენტრში თქვენი ხარჯებითა და ინიციატივით დადგმული ზვიად გამსახურდიას ძეგლი. ეს მართლაც დიდებული საჩუქარი გახლავთ კოლხი ხალხისადმი. ასევე, დიდად ვაფასებ თქვენს ინტერვიუებსა და საგაზეთო პუბლიკაციებს, სადაც დიდი გულისტკივილი გამოსჭვივის საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმართ. სწორედ ეს ამხნევებს მორალურად მომავლის იმედგადაწურულ ადამიანებს, რომელთაც უკვე ხელები ჩამოშვებული ჰქონდათ. სწორედ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებიდან გათიშვა სურთ იმ არაქართულ ძალებს, რომელთაც რვა წლის წინ მოახდინეს ხელისუფლების უზურპაცია საქართველოში. იქნებ ახლა მაინც გადაავლონ ადამიანებმა თვალი იმდროინდელ პრესას, როცა თქვენ ქართველ ხალხს აფრთხილებდით იმ მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე, თუ საქართველოს ხელისუფლებაში ე.წ. **“ახალგაზრდა რეფორმატორები”** მოვიდოდნენ სააკაშვილის მეთაურობით. სამწუხაროდ, ძალიან ავად აგვიხდა მაშინდელი თქვენი პოლიტიკური წინასწარმეტყველება!

ახლა კი ნიშნის მოგების დრო არ არის. ახლა ერთად უნდა დავირაზმოთ, რათა ქართულ პოლიტიკურ ავანსცენას სამუდამოდ ჩამოვაშოროთ ნაციონალებად წოდებული პოლიტიკური ავანტიურისტები და ბოროტმოქმედები. ამას კი სწორედ თქვენნაირი საზრიანი და ობიექტური პოლიტიკოსების ძალისხმევა სჭირდება, ბატონო ალექსანდრე, რაც გავალდებულებთ კიდეც, რომ აქტიურად ჩაერთოთ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დალი ლატარია,
ზუგდიდი

აი, რას გვწერს ჩვენი ერთ-ერთი ავტორი, ზუგდიდელი მწერალი და ჟურნალისტი **ანზორ ბარამია**:

**“მე არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, რომ ვიცოდე რა გადაარჩენს ჩემს სამშობლოს და, აქედან გამომდინარე, გავაკეთო სწორი არჩევანი. არ შეიძლება იმის არაღიარება, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენამ ხერხემალში გადაამტვრია “ნაციონალური მოძრაობის” პოლიტიკური მონოპოლია, რომელიც სააკაშვილის დიქტატორული ამბიციების ძირითადი საყრდენი გახლავთ. ჩვენ ისიც გვესმის, რომ ბიძინა ივანიშვილმა გარკვეული წრეების დაწოლით ამოიყენა გვერდით უკვე თითქმის პოლიტიკურ ლეშად ქცეული, “თავისუფლების ინსტიტუტის” მიერ გამოკვებილი რესპუბლიკელები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოყვანის საქმეში და რომელთაც დღეს არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ მოსახლეობაში. არც ის არის დამაჯერებელი, რომ ბიძინა ივანიშვილი შეცვლის მათ მრწამსს. მართალია, დღეს რესპუბლიკელები სხვა ხმით “ჭუჭჭუკებენ” და თუ ადრე ისინი ილია ჭავჭავაძეს არარაობად მიიჩნევდნენ, ამჯერად ერის მხსნელად აღიარებენ მათ, მაგრამ, ეს უბრალოდ კანის გამოცვლაა. კანს გველიც იცვლის ხოლმე, მაგრამ იგი კვლავ გველად რჩება, რადგან შიგთავსი არ ეცვლება. ასე რომ, რესპუბლიკელები, “ნაციონალთა” მსგავსად, ჩვენს შემეცნებაში ყოველთვის დარჩებიან ერისა და ქვეყნის დამანგრეველ ძალად. სწორედ ამის ფონზეა დამაფიქრებელი ბიძინა ივანიშვილის განცხადება, იმის თაობაზე, რომ ორ წელიწადში პოლიტიკიდან წავალო. მაშინ ვის უტოვებს იგი ქვეყნის მმართველობის საფეხურებს? იმ რესპუბლიკელებს, რომელთაც ნაცებზე მეტი წვლილი არ მიუძღვით ქართული ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში?

ეს ხომ ქვეყნის საბოლოოდ დასამარების ტოლფასი იქნება!

ამიტომ არის აუცილებელი, რომ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩაერთონ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და მისი გუნდის წევრები.

ეს მათთვის ვალდებულებაა და არა პოლიტიკური ამბიცია”.

ერთი ადამიანის სურვილი მხოლოდ სურვილია, საზოგადოების სურვილი კი ის მოწოდებაა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში ცალკეულმა პოლიტიკოსმა თუ პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

გაზეთ “ილორის” რედაქცია

წმინდა გიორგი

წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია.
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვედარი!

ზვიად გამსახურდია.

პოლიტიკოსები სააკაშვილისთვის ნარკოლოგიურ შემოწმებას მოითხოვენ

როგორც აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა საქინფორმს აცნობეს, **„არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, რომ 20 მაისს მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის საფუძვლის ჩაყრის ღონისძიებაზე მისული მიხეილ სააკაშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის ამსახველი კადრები გავრცელდა მედიის საშუალებებით, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი არაადეკვატურად იქცევა და საუბრობს.**

მაგალითად, პარტია „თავისუფალი საქართველო“ მიიჩნევს, რომ ამგვარი ეჭვების არსებობა ქვეყნის პირველ პირზე დამღუპველია საქართველოს საერთაშორისო იმიჯისთვის. პარტია აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილისთვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარებას, რომელიც უნდა განახორციელონ ევროპიდან მოწვეულმა ექსპერტებმა, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი ექსპერტიზის მიკერძოებულობაზე.

პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია საქართველოში აკრედიტებულმა პარტნიორი ქვეყნების დიპლომატებმა აცნობონ ამ ეჭვების შესახებ საკუთარ ხელისუფლებებს, ვინაიდან ნარკოტიკების მომხმარებელი პრეზიდენტი ვერ იქნება საიმედო პარტნიორი დემოკრატიული სამყაროსთვის.“

როგორც საზოგადოებამ იცის, ნარკომანმა ყოველთვის შეიძლება მიიღოს არაადექვატური გადაწყვეტილება, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნისა და ხალხისათვის.

ეს მით უმეტეს ეხება იმ გამოუსწორებელ ნარკომანებს, რომლებსაც წამლის შიმშილი ეწყებათ ხოლმე. როგორც გახსოვთ, იმ მძიმე ჟამს, როცა საქართველოს კრიმინალები მართავდნენ, ნარკომანებს საკუთარი ცოლებიც კი მიჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიაში და მათ ნარკოვაჭრებს უცვლიდნენ წამლებში.

ამაზე მეტად ადამიანი ხომ სახეს ვერ დაკარგავს!

ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ქართველ მაღალჩინოსნებს ეს საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებათ, რადგან მათთვის ნებისმიერი ნარკოტიკი ხელმისაწვდომია. ექსპერტთა ფხიზელ თვალს ვერაფერს გამოაპარებ, ამიტომაც იყო, რომ აბარბაცებული სააკაშვილის ნახვისას ყველამ გამორიცხა სიმთვრალე და მთელი მისი სიმპტომატიკა ნაკოტიკების მოხმარებას დააბრალა.

ამაზე მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა რაღა გინდათ?

ქვეყნის ხელმძღვანელობა ხომ, ამ ქვეყნის სავიზიტო ბარათია. და რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მსოფლიოში არავინ განგვიხილავდეს სერიოზულ სახელმწიფოდ.

ქვეყნად ყველაფერი შედარებითია, მაგრამ როგორი შესადარებელია სააკაშვილი ლამის ასკეტური ცხოვრების წესის მიმდევარ გამსახურდიასთან, ან თუნდაც უხსენებელ შევარდნაძესთან, რომელიც, მიუხედავად მთელი მისი მზაკვრობისა და ვერაგული ბუნებისა, ფეხარეული არასდროს არავის უნახავს.

წესიერმა ხალხმა რა დააშავა, თორემ ბრბო ყოველთვის იმსახურებს იმას, რაც ჰყავს!

კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო

ძვ. წ. XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს მითანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე იყო რატი, მთავრსარდალი კი მეფის ძმა – ართაშური, ხოლო რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ – ფარაონმა ექნატონმა (ეხნატონი, ექნათონ – აჩინა) შეირთო ცოლად.

ქალაქი ახეტატონისი (ექნატონი), რომელიც ბენი ჰასანისაგან სამხრეთით მდებარეობს, **„მეფე-ერეტიკოსმა“** ეხნატონმა ააგო, როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თაყვანმცემლობა დაგმო და აკრძალა, სანაცვლოდ კი ერთი ღმერთის – ატონის კულტი დააწესა.“ (**იხ. ეგვიპტოლოგია,** თარგმანი: **სოფი ქარჩხაძე,** რედაქცია **მაკა ბაქრაძე, ლელა ბერიშვილი,** კონსულტანტი: ეგვიპტოლოგი **მანანა ხვედელიძე.** ქართული გამოცემა, 2007, თბ., გია ქარჩხაძის გამომცემლობა (ეგვიპტოლოგია, ოსირისის სამარხის ძიებაში. მის ემილი სენდსის დღიური, ნოემბერი, 1926წ.)

ეხნატონის მეუღლის ნეფერტიტის კირქვისაგან დამზადებული ბიუსტი კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში, 1911 წელს (ზოგი-ერთი წერს: 1912 წელს) აღმოაჩინა გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ქალაქ ახეტანონში.

ლ. ბორჰარდტმა თუთმოსის სახელოსნოში იპოვა ექნატონის (ეხნატონის) ოჯახის წევრების პორტრეტები – ფარაონ ექნატონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი, ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი. ერთი თაბაშირის, მეორე კი გრანიტისაგან დამზადებული. აღმოჩენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი. ეს ბიუსტი რომ აღმოაჩინა, ლ. ბორჰარტს დღიურში ჩაუწერია: **„იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო.“**

ეგვიპტე დიდი ხანია გერმანელებისაგან თხოულობს ნეფერტიტის, აგრეთვე ბრიტანეთის, საფრანგეთის (ლუვრის), ბოსტონის და ასევე ჰელიცაუსის (გერმანია) მუზეუმებიდან ეგვიპტის კუთვნილი (ეგვიპტიდან გატანილი) სამუზეუმო ნივთების დაბრუნებას. (**გენადი თვაური, „დაბრუნდება ნეფერტიტი ევვიპტეში?“** გაზ. **„ახალი თაობა“,** 2009, 16 თებერვალი, №43, გვ. 10, 12.)

„ექნატონის ამარანას პერიოდის“ შემდეგ, ტუტანჰამონის მეფობის დროს, ეგვიპტელების ტრადიციული მრავალღმერთიანი რელიგია აღდგა.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტმა, შვეიცარიელმა ჰენრი სტირლინმა განაცხადა: ნეფერტიტის ბიუსტი სინამდვილეში 100 წელზე ნაკლები ასაკისაა. მეცნიერი ამტკიცებს, რომ სკულპტურის ასაკის დადგენა შეუძლებელია, რადგან იგი კირქვისგანაა დამზადებული.

ბერლინის ეგვიპტური მუზეუმის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს შვეიცარიელი სტირლინის ჰიპოთეზას. **„ლამაზი ქალი და ცრუ სკანდალი ყოველთვის კარგად იყიდებოდა“,** - განაცხადა მუზეუმის დირექტორმა. (**გენადი თვაური,** ნეფერტიტი 100 წლისაა? გაზ. **„ახალი თაობა“,** 2009, №122, გვ. 12.)

2006 წელს გამოსულ **„ეგვიპტოლოგიაში“** მოტანილია **„ეგვიპტური გვირგვინების“** ისტორია და სურათები: **„როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის მეფე-ფარაონი ორმაგ გვირგვინს ატარებდა. ეს გვირგვინი, თეთრი – ზედა ეგვიპტის გვირგვინისა და წითელი – ქვედა ეგვიპტისა, გვირგვინისგან შედგება. წითელი გვირგვინი ასოცირებული იყო ქვედა ეგვიპტესთან, რომელიც ქალაქ მეფისიდან ჩრდილოეთით, ნილოსის დელტამდეა გადაჭიმული. თეთრი გვირგვინი ეს ზედა ეგვიპტის გვირგვინია. ზედა ეგვიპტე იშლება მემფისიდან სამხრეთით, თებემდე და მის იქითაც გრძელდება. ლურჯი გვირგვინი ასევე „ომის“ გვირგვინადაც მოიხსენიება, რადგან ამ გვირგვინით მებრძოლი სეთი I და მისი ვაჟი რამზეს III მრავალგანაა გამოსახული“.** (ეგვიპტოლოგია, გვ. 5)

სწორედ ასეთი გვირგვინი (მეფის, ფარაონის) ადგას თათუ ნეფერტიტს, ის მეფის, ფარაონის ჩვეულებრივი მეუღლე კი არ იყო, არამედ მეუღლის ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ფარაონი გახდა. ასეთი გვირგვინი, ებურა, ეხურა ჩვენი ქვეყნის (კოლხეთის) დიდ მეფეს ანმარეს (ანმარეს იმპერია). ნეფერტიტის ყველა ქანდაკება (დიდი თუ პატარა) და პორტრეტი ამ გვირგვინითაა შესრულებული.

ქვეყანა მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო **„ფაზისყანა“** (რაც ვენახოვანს ნიშნავს). იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება **„ბაბილოვანი“**. ბაბილო ქართულად არის ვაზის ლერწამი, რტო. ქალაქ ბაბილოვანის სახელწოდება, შემდგომში გავრცელდა თვით ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე. ბაბილო, ბაბილონი (ამ ქალაქის ბერძნულ და ებრაულ სახელწოდებაზე, ქვემოთაც გვაქვს საუბარი) საქართველოს (სამეგრელოს) სხვა დედაქალაქის შესატყვის სახელწოდებად იქცა, მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ კუთხეს – მხარეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს კოლხეთს. უფრო გვიან, როცა ის შემოსეულმა მტრებმა დაიპყრეს, ბაბილონი საქართველოს (კოლხეთის) ქალაქი იყო, ხოლო ახ. წ. VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისაგან **„ბაგ“, „დადუ“** (მეფის სახელებია); აგრეთვე დადუსაგან მომდინარეობს ქართული გვარები: დადუანი (იგივე დადვანი), დადიანი და სხვები.

მითანის მეფის რატის ასული თათუს ქიმეთის (ეგვიპტის) მეფის მეუღლედ გახდომისას, ჩვეულებისამებრ, ახალი სახელი დაარქვეს – **„ნეფერტიტი“,** რომელიც მკვლევარების აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ მზეთუნახავს, ლამაზ ქალბატონს ნიშნავს! წერს ნ. ფოფხაძე (**ნათელა ფოფხაძე,** ქიანა ენგურ ანუ ქვეყანა, სახელად ენგური (წერილი მეორე), გაზ. **„დიოსკურია“,** 2005, თებერვალი, №20, გვ. 4. ნათელა ფოფხაძეს მრავალი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული ძველი კოლხეთისა და სამეგრელო-სვანეთის ისტორიაზე. მას რიგი აღმოჩენა და მიგნება აქვს ძველი კლხეთის ურთულეს საკითხებზე. კოლხეთის, შუმერეთის ეგვიპტის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ქართველი მეცნიერები შესაფერისად იყენებენ მის მიერ პირველად მოძიებულ წყაროებს, დოკუმენტურ მასალებს. ამ აღმოჩენებში მას ხელს უწყობს უცხო ენების უბადლო ცოდნა, დიდი ერუდიცია, ჟურნალისტური გამოცდილება. მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა დოკუმენტური მასალები ეგვიპტელ ქართველი ფარაონების თათუ-ნეფერტიტისა და აიეს შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. ფოფხაძის მიერ შედგენილი ნარკვევი **„ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ“,** თბ., 2002)

ქიმეთში (ეგვიპტეში) ეხნატონ (ექნათონ) ფარაონის შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა თავისი უფროსი ქალიშვილი ანქისეპა-ათენა; სამი თუ ოთხი წლის შემდეგ თათუ-ნეფერტიტი გარდაიცვალა. მისი მუმია შემონახულია – დაკრძალულია ქიმეთის მეფეთა და დედოფალთა პანთეონში. შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთანქი – ათენი, (თუთანჰამონი), რომელიც ნათესავების, – პირველ რიგში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და უმაღლესი ქურუმის – კოლხი აიეს საშუალებით მართავდა ქვეყანას.

ზოგი მეცნიერი **„თუთანქამონის“** (თუთანჰამონის, ტუტანხამონის) ბიოლოგიურ დედად თათუ-ნეფერტიტს მიიჩნევს, ზოგი კი თვლის, რომ ის სხვა, ქართველთა მეფის ასულმა ქიიამ გააჩინა. მიუთითებენ, რომ თათუმ მას დედობა გაუწია, გაზარდა და მისი დედა თუ არა, ახლო ნათესავი ნამდვილად იყოო. მაგრამ აქ საჭიროა სიცხადის შეტანა, ჭეშმარიტების დადგენა. ცნობილია, რომ ეხნატონის, ექნატონის მეუღლე იყო ნეფერტიტი, ისიც კარგად ცნობილი, რომ ეხნატონის შვილი იყო ტუტანჰამონი, მაშასადამე, ეხნატონისა და თათუ-ნეფერტიტის შვილია ტეტანჰამონი: სხვა განსახვავებული შეხედულების, მოსაზრების არსებობა უსწოროა.

თუთანჰამონის სახელი უთუოდ უკავშირდება მეგრელი მთავარის (თუთას) სახელს, ამონი კი მზის ღმერთია; ეგვიპტის ყველაზე გავლენიანი ფარაონი თუთანჰამონი მეგრულად ნიშნავს მთვარეს და მზეს.

მითანის (მითანის მთიანეთის) მეფის რატის სახელიდან მომდინარეობს ქართული გვარი რატიშვილი (ხშირად ამბობდნენ რატიშვილს, რატის, რატიევს, – განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ). დასტურდება, რომ მეფე რატის მემკვიდრეები, შთამომავლები არიან რატიშვილები.

ისიც სათქმელია, რომ ცნობილი პიროვნება, ჩეხი მომღერალი იოსებ რატილი (27.XI. 1840-1912წწ.) პირველი ქართული ფოლკლორული ანსამბლის ლოტბარი იყო.

თუთანქამონს დედის ბიძად ერგებოდა **„პრემიერ-მინისტრი“** აიე (ეიე), რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა და მომდევნო ფარაონი გახდა და ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას. იმასაც აღვნიშნავთ, რომ **„ფარაონ აიეს ძმის – მეფე რატის ქალიშვილის – თათუ-ნეფერტიტის ასული (უმცროსი ქალიშვილი) მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადაშმან მეფის მეუღლე იყო, ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში“.** (**ნათელა ფოფხაძე** სწორედ ამბობს: არა **„ტუტანს(ქ)ამონი“,** არამედ **„თუთანქამონი“.**)

ეგვიპტოლოგთა ჯგუფმა წამოაყენა (2007 წ.) ახალი ჰიპოთეზა ფარაონ ტუტანჰამონის გარდაცვალების შესახებ, რომლის თანახმადაც ფარაონმა ტუტანჰამონმა, რომელიც ეგვიპტეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნის მეორე ნახევარში მართავდა, სასიკვდილო ტრავმა ნადირობის დროს მიიღო – მეფე ეტლიდან გადმოვარდა და წვივი მოიტეხა.

მეცნიერები ადასტურებდნენ, რომ ფარაონის გარდაცვალების მიზეზად განგრენა იქცა. უკანასკნელ დრომდე (2007წ) ეგვიპტოლოგებს შორის გაბატონებული იყო ვერსია, რომლის თანახმადაც ეიეს (აიეს) მიერ ორგანიზებულმა შეთქმულებამ იმსხვერპლა. ტუტანჰამონის შემდეგ ძველი ეგვიპტის ტახტზე სწორედ აიე ავიდა, მის ქვრივზეც დაქორწინდა და სრულიად კანონიერად გახდა ეგვიპტის მეფე – ფარაონი.

ამ ჰიპოთეზისკენ მეცნიერებს ფარაონის თავის ქალაზე ჯერ კიდევ 1960-იან წლებში რენტგენოლოგიური გამოკვლევების დროს შემჩნეულმა დეფექტმა უბიძგა.

მიუხედავად ამისა, როგორც გაზეთი **„ინდეფენდენტი“** აღნიშნავს, მეცნიერებმა რამდენიმე საბუთი წარმოადგინეს, რომლებიც მიანიშნებენ, რომ 19 წლის მეფე უდაბნოში ნადირობის დროს ეტლიდან გადმოვარდა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. მოტეხილობას შემდეგ სისხლის მოწამვლა დაემატა და ფარაონი განგრენის შედეგად გარდაიცვალა.

მანამდე გავრცელებული აზრის თანახმად, ტუტანჰამონი ფიზიკურად სუსტი ადამიანი იყო. ამჟამად მეცნიერები საწინააღმდეგო აზრს იზიარებენ და მიაჩნიათ, რომ იგი საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. სანადირო ეტლს, რომელიც მის სამარხში იპოვეს, ცვეთის კვალი ეტყობა. ასობით ისარი, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ საფლავში ჩაატანეს, ასევე არ იყო ახალი, ამ ისრებს ნადირობისას ხმარობდნენ.

კიდევ ერთი საბუთი, რომელიც არაპირდაპირ ადასტურებს, რომ ტუტანჰამონი მონადირე იყო და ეტლით მგზავრობდა, მისი ტანისამოსის გროვაში ნაპოვნი კორსეტი იყო. ამ კორსეტს იგი ეტლით მგზავრობის დროს მუცელში დარტყმისაგან უნდა დაეცვა.

გარდა ამისა, მუმიას თან ყვავილების გირლიანდები ახლდა, მათ შორის გვირილების თაიგულები. ცნობილია, რომ ეგვიპტეში გვირილა მარტსა და აპრილში ყვავის, რაც იმას მიანიშნებს, რომ ტუტანჰამონი ამ დროს დაკრძალეს, მაგრამ მუმიფიკაციისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით გამოდის, რომ იგი დეკემბერში, ან იანვარში, ანუ შუა ნადირობის სეზონის დროს დაიღუპა.

მეცნიერების მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ ბალზამის ოსტატებსაც მოსწმინდა ჩირქი, რომლებიც ფარაონის ცხედართან უყურადღებო მოპყრობაში იყვნენ **„ბრალდებული“.** დამტკიცდა, რომ ქურუმები მეტად გულმოდგინედ მოეკიდნენ თავიანთ საქმეს, მუმია სხვადასხვა ქსოვილის ფენაში იყო შეხვეული, ბალზამირების პროცესი კი მრავალსაფეხურიანი იყო.

ფარაონის მუმია და მისი სამარხის სხვადასხვა ნივთები ამჟამად (2007წ.) ლონდონში არის გამოფენილი. (**„ტუტანჰამონი ნადირობის დროს მიღებული ტრამვის შედეგად გარდაიცვალა“,** გაზ. **„ახალი თაობა“,** 2007, 23 ოქტომბერი, №292.)

ერთი კი თითქმის ცხადად ჩანს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნეში ეგვიპტის ფარაონი იყო კოლხი სახელად აიე. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ეგვიპტის ფარაონის მრჩეველი (პრემიერ-მინისტრი) აია (ეიე), რომელიც ხელმძღვანელობდა ფარაონის დაკრძალვის ცერემონიას, ფარაონი გახდა.

ძველი ეგვიპტის ფარაონის სახელი აიე (აია) და ძველი კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქის (და თვით სახელმწიფოს) სახელწოდება **„აია“** ხომ არ მიგვანიშნებს რაიმეს?

უთუოდ საინტერესოა 2008 წლის გამოქვეყნებულ მასალები იმის შესახებ, რომ ევროპელ არქეოლოგთა ჯგუფი, ეგვიპტელი ოტო შადენის ხელმძღვანელობით გეგმავს ლეგენდარული მეფეთა ველის კვლევის განახლებას. მეცნიერები მიზნად ისახავენ ეგვიპტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი დედოფლის ნეფერტიტისა და მისი მეუღლის ეხნატონის (ექთათონის) მუმიების კვლევას.

ეგვიპტის პირველი ფარაონის ნარმერის ანუ მენესის (ქვეყნის სატახტო ქალაქი იყო თინისი ზემო ეგვიპტეში) ჩათვლით, კლეოპატრას დრომდე, ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი იყო. შვეიცარიელმა მეცნიერმა რომელმაც ფარაონი თუთანამონის **DNA**-ს შესწავლის საფუძველზე. დაამტკიცა, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის (გაუგებარია – რატომ მხოლოდ მამაკაცები?) წარმომადგენელთა დაახლოებით 50 პროცენტი, ინგლისში კი თითქმის 70%-ი ესპანეთში – 70%, საფრანგეთში 60-%) ტუტანჰამონის შორეული ნათესავი ან შთამომავალია.

ამენჰოტეპის შვილის ექნატონის მეუღლე თათუ-ნეფერტიტი, მათი შვილი ტუტანჰამონი, თათუ-ნეფატიტის ბიძა აიე (ეიე) ეგვიპტის ფარაონები იყვნენ, ასევე რამზეს I, რამზეს II, რამზეს III, და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები იყვნენ.

მეცნიერთა მტკიცენით ფარაონ თუთანჰამონის (ტუტანჰამონის) და ევროპელი მამაკაცების ნახევრის **„საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ“** (ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდში კავკასია, კერძოდ სამხრეთი კავკასია კოლხებით იყო დასახლებული).

„მეცნიერების ვარაუდით დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ თანამედროვე ევროპელებისა და ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა... ამ ჯგუფის წევრთა განსახლება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე დაახლოოებით 9 ათასი წლის წინ დაიწყო, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად“. (ფარაონ ტუტანჰამონისა და ევროპელი მამაკაცების ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყავდათ გაზ. **„ახალი თაობა“,** 2011, 4 აგვისტო, №183, გვ. 11.)

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნება თანამედროვე ეგვიპტელების მხოლოდ 1-%-ი, რაც იმას მიანიშნებს რომ თანამედროვე ევროპელებს და ფარაონებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. კარგად ჩანს რომ ეს წინაპარი როგორც ქვემოთ გვაქვს აღნიშნული ქართველები იყვნენ. მირიან ქართველი რომელმაც დეტალურად აღწერა ლაზიკას – კოლხეთის-საქართველოს უზარმაზარი ტერიტორიების ოთხივე გეოგრაფიული მხარე-საზღვარი, ამბობს: (მირიან ქართველი, ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია, წიგნში **„იესოს სულით ცხებული“,** თბ., 2001, გვ..95-96. მირიან ქართველის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებს შორის აღსანიშნავია: მესიის მეორედ მოსვლა დედამიწაზე. თბ., 2009; სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები, თბ., 2009; ლაზარე (ქართველი) ღმერთის ენა, თბ., 2011.)

„ლაზიკას გულსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ოთხი მდინარის აუზში მცხოვრები, ტომი. მდინარე ენგური (ენის გული), რიონი (მზის ძეს ობადე, ფასი), მტკვარი (მტკვარიცის კიბე) და ალაზანი (ზანი ანუ წმიდა ზანი). ზემოთ აღნიშნული საზღვრების გარეთ ლაზებს (ქართველებს) ჰქონდათ სამისიონერო მცირე დასახლებები, კერძოდ, შუმერების ბაბილონში, მცირე აზიის ტერიტორიაზე, ეგვიპტეში, საბერძნეთში იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, კიევზაპოროჟიეში, რიაზანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, სარანსკში და ურალში. ეგვიპტის იმპერია ქართველი ქურუმების შექმნილია და ფარაონები, კლეოპატრამდე, ყველანი იყვნენ ქართველები, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს“.

შვეიცარიელი მკვლევარის აღმოჩენასთან დაკავშირებთ რუსი მეცნიერები წერენ: **„ტუტანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა“,** ე. ი. **„სწორედ დამტკიცდა – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან“.** რუსი მეცნიერები ამის ამტკიცებენ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (დმანისი).

სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები პირველად საქართველოში, რომ გაჩნდა ამას ვამბობდი ჯერ კიდევ ადრე გამოსული წიგნებში, საჟურნალ-საგაზეთო სტატიებში და ინტერვიუებში.

გამოჩენილმა შვეიცარიელმა მეცნიერმა რომან შოელცმა, რომელმაც ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონის **DNA**-ს ანალიზი გააკეთა, მოახდინა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა და გადატრიალება გამოიწვია მეცნიერებაში, თბილისელ მკვლევარ რატიშვილისადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილში, ჩემს შესახებ წერს:

„თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ თქვენ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, ამ ტესტების ჩატარებაში თუ ის დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებას.

სიამოვნებით ვუპასუხებთ ნებისმიერ სხვა კითხვას, რაც შეიძლება გაგიჩნდეთ.

პატივისცემით,
რომან ს. შოლცი ციურიხი“.

კლიმენტი შელია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

13 წლის შემდეგ...

სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» იმ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის საპირწონედ შეიქმნა, რომელსაც შევარდნაძის რეჟიმი მიზანმიმართულად ახორციელებდა ძირძველი ქართული კუთხის წინააღმდეგ. სწორედ შევარდნაძის რეჟიმის მიზანმიმართული მავნებლობის შედეგად მოექცა ერთ დროს ძლიერი აგრარული და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მქონე ამაყი კუთხე გეოეკონომიკურ ჩიხში. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2003 წელს სამეგრელოს მოსახლეობამ, დაინახა რა შევარდნაძის რეჟიმის დამხობის რეალური შანსი, მხარში ამოუდგა ოპოზიციას «ოღონდ შევარდნაძე არა და სხვა, ვინც უნდა, იყოს» პრინციპით და ლომის წილი შეიტანა «ვარდების რევოლუციაში».

სამეგრელოს მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ის დრო, როდესაც ხელისუფლებას კუთხის მიმართ ერთადერთი ინტერესი – ამომრჩეველთა ხმები ამოძრავებდა, წარსულს ჩაბარდებოდა.

სამეგრელოს მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ფარისევლური წინასაარჩევნო დაპირებების, არაფრისმომტანი დემოკრატიული ცვლილებების ეტაპი დასრულდებოდა.

სამეგრელოს მოსახლეობა ფიქრობდა, რომ დაიწყებოდა ქვეყნის, მათ შორის მათი მშობლიური კუთხის, ჩიხიდან გამოყვანისა და აღმშენებლობის ხანა. იმედოვნებდა, რომ ეყოლებოდა ხელისუფლება, რომლისთვისაც ხალხი იქნებოდა მიზანი და არა საშუალება. ამ იმედითა და ოცნებებით, როგორც ყოველთვის საუკუნეების მანძილზე, უკვე მერამდენედ გადაეშვნენ სამშობლოს გადარჩენისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში. გაუმართლდათ თუ არა იმედები, ეს სხვა თემაა და ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ.

დიახ, 1999 წლის მარტიდან, როცა ქ. ფოთში ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით დაარსდა სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»,** 13 წელი გავიდა. ეს ერთი შეხედვით და რეალურადაც მშვიდი, წყნარი, რეგიონისთვის სასიკეთო აქტი პირველივე დღიდან მტრულ გარემოცვაში მოექცა.

მმართველმა ძალებმა მაშინვე შეუტიეს **«სამეგრელოს».** ამ დაპირისპირებაში განსაკუთრებით აქტიურობდა **«მოქკავშირი»** და მისი ახალგაზრდული ფრთა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი სახელწოდების მქონე, თუნდაც არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა შეაშფოთებდა ქართული საზოგადოების ნაწილს, მაგრამ იმ ისტერიამ, შეთითხნილი ბრალდებების ნიაღვარმა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა. სახალხო მოძრაობის ლიდერს დააბრალეს **«სეპარატიზმი»,** ქვეყნის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე, თუმცა უკვე იყო დაფუძნებული საზოგადოებები **«რაჭა», «ლემი», «თბილისელი»,** რომლებიც გარკვეული წარმატებითაც კი ფუნქციონირებდნენ სეპარატიზმთან ყოველგვარი ასოციაციის გარეშე.

ბრალდებები მოდიოდა იმ ძალებიდან, იმ პიროვნებებიდან, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, იმ ეგრეთ წოდებული ოპოზიციის თავკაცებიდან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევდნენ ჩვენს სამშობლოს, შლიდნენ ქვეყანას, ყიდდნენ ისტორიულ ტერიტორიებს. ხელისუფლების დავალებით, მათთან დაახლოებულმა მეგრელებმა ჩამოაყალიბეს სხვადასხვა სახის ორგანიზაციები სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** საპირისპიროდ. თანდათანობით აშკარად გამოიკვეთა **«მოქალაქეთა კავშირისა»** და მისი ამფსონების უაღრესად რეაქციული დამოკიდებულება **«სამეგრელოს»** შექმნისა და მისი ორგანიზატორებისადმი.

ალექსანდრე ჭაჭიას დაუწვეს მანქანა და აეროპორტში კინაღამ დააპატიმრეს. არსებობს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, მოქკავშირელი რეჟისორი ელდარ შენგელაია ხმის ჩახლეჩამდე როგორ ყვიროდა აეროპორტში, რომ დაეკავებიათ ბატონი ალექსანდრე. ძირითადი ბრალდება იყო სეპარატიზმი და ნაციონალიზმი, რაც თითქოს გამოსჭვიოდა **«სამეგრელოს»** დამფუძნებელთა გამოსვლებში. აბსურდული ბრალდებები იფრქვეოდა გაზეთებიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან, აბრალებდნენ რუსეთის აგენტობას და ამას აკეთებდნენ **«მოქკავშირის»** ის აქტივისტები, რომლებიც თავად ფინანსდებოდნენ და იმართებოდნენ რუსეთის აგრესიული წრეების მიერ. ალბათ, ბევრს დღესაც ახსოვს ზურაბ ჟვანიას მიერ ჩამოტანილი მილიონები არჩევნებისთვის (რკინიგზის მინისტრისგან).

ძნელი იყო ასეთ პირობებში საზოგადოება **«სამეგრელოს»** გაძლიერებაზე ფიქრი, მაგრამ ალექსანდრე ჭაჭიას ძალისხმევამ, მისი გუნდის მონდომებამ და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მხარდაჭერამ განაპირობა **«სამეგრელოს»** შემდგომი არსებობა და საქმიანობა დღემდე და ასე იქნება მომავალშიც.

ხელისუფლების მიერ ჩვენ წინააღმდეგ მაშინ შექმნილი ორგანიზაციების დასახელებებიც კი არ ახსოვს დღეს სამეგრელოს მოსახლეობას.

1999 წელსვე დაარსდა სახალხო მოძრაობის გაზეთი **«ილორი»,** რომლის უცვლელი რედაქტორია ბატონი **როლანდ ჯალაღანია** და რომელიც გამოდის სამშაბათობით.

2001 წლის 12 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში გაიმართა სახალხო მოძრაობის მეორე ყრილობა. ყრილობამ დაამტკიცა მოძრაობის ხელმძღვანელობის სტრატეგიისა და ტაქტიკის აბსოლუტური სისწორე – დადასტურდა, რომ **«სამეგრელო»** არის რეალური ძალა, რომელიც უყვარს სამეგრელოს მოსახლეობას, და მას ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა მიმდინარეობა სცემს პატივს.

ყრილობაზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა **«სამეგრელოს»** დაფუძნების ინიციატორი, პოლიტოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჭაჭია. მოხსენებაში თავიდანვე სათანადო ყურადღება დაეთმო პასუხს კითხვაზე, თუ რა სახის მოძრაობა, რა სახის ძალა არის **«სამეგრელო».** მოხსენებაში ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ არ ვქმნიდით მორიგ პარტიას, არამედ ჩვენ ვქმნიდით საზოგადოებრივ ძალას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სამეგრელოს საზოგადოების რეალურ ძალად გადაქცევა. მოძრაობის როლისა და ფუნქციების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს მისი წევრი.

«...მე მიმაჩნია, რომ ჩვენი კარი უნდა იყოს ღია ნებისმიერი პიროვნებისთვის, რომელსაც სამეგრელოს განვითარება, მისი ჩიხიდან გამოყვანა სურს, რომლისთვისაც მეგრული კულტურა, ენა, ტრადიციები, თვითმყოფადობა, სპეციფიკ ძვირფას და სანუკვარ განძს წარმოადგენს და ყველაფერ ამას ზოგადქართული მნიშვნელობის ფასეულობად მიიჩნევს. ჩვენთვის არ უნდა ამას ზოგადქართული მნიშვნელობის ფასეულობად მიიჩნევს. ჩვენთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი პარტიის წევრია ესა თუ ის პიროვნება, რა პარტიული თუ იდეოლოგიური დოქტრინის მატარებელია იგი. სამშობლოს სიყვარულში წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ. თუ ჩვენ ამ პრინციპს დავიცავთ, მაშინ შესაბამისად დაცული იქნება ერის არსებობისა და განვითარების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპიც – მემკვიდრეობითობა...

ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც ქართველებისთვის ყველაზე ამაზრზენი, მიუღებელი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე «მოქალაქეთა კავშირში» გაერთიანებულია ბევრი ნორმალური, წესიერი, შეიძლება მიამიტი, შეიძლება რაღაცით დაინტერესებული პიროვნება, მაგრამ ისიც ჩვენი ერის ნაწილია. მათი უარყოფა დაუშვებელია. ვიმეორებ, რა პოლიტიკური მრწამსი, რა მსოფლმხედველობითი პრინციპის მქონეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, თუ იგი პატრიოტია, თუ მას სამშობლო უყვარს, თუ მას ერის ნათელი მომავალი სურს, მაშინ იგი ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია».

ძნელია, დაასაბუთო, საქართველოს ისტორიამ დაავალა თუ თავად სამეგრელომ გამოკვეთა თავისი ადგილი და როლი ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ **«საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე სამეგრელოს მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქცია ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმაადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება, იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა.**

დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი განვითარებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელს. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის, თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისთვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისთვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისთვის, ქართულის სულის ამაღლებისთვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა. ნუთუ არ რცხვენია ვიღაც პოეტსა თუ მსახიობს ამის შემდეგ სამეგრელოსთვის სეპარატიზმის დაბრალება?..»

ქართულ სახელმწიფოში პირველად ქ. ზუგდიდში 2001 წლის 12 ოქტომბერს, სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** ყრილობაზე, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, რომ დედა-ქართულთან ერთად სახელმწიფოებრივი ზრუნვა, მოვლა, გაფრთხილება სჭირდება ქართული კულტურისა და სულიერების ორ ისეთ უმშვენიერეს და უბრწყინვალეს ძეგლს, როგორებიც მეგრული და სვანური ენებია. ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას ვინ ჩივის, ლამის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასთან გააიგივეს ჭკვიანი მტრისგან შემოგდებული დემაგოგია, რომლის მიხედვითაც სამეგრელოს კუთხისშვილების ნებისმიერი გააქტიურება, გნებავთ, მეგრული ენისადმი ხაზგასმული პატივისცემის გამოხატვა, მყისვე სეპარატიზმად ინათლებოდა, რითაც მოხერხებულად ხდებოდა სამეგრელოს რეგიონში ოდითგანვე ჭარბად არსებული საერთო სახელმწიფოებრივი ენერგიის ჩახშობა და დათრგუნვა. ამ დემაგოგიური კომპლექსის დამნერგავებს, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, ფსევდოინტელიგენტებსა და ცრუ მეცნიერებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ სამეგრელო ქართული სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აკვნის დამრწევია, მეგრელებისგან შორს დგას სეპარატიზმი.

«ისტორიის მამად» წოდებული ჰეროდოტე ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში წერდა: **«კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათო»**, რომელზეც აპოლონიოს როდოსელი IV საუკუნეში წერდა: **«კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი».** იოანე ანტიოქიელი, ძვ.წელთაღრიცხვით VII საუკუნეში წერდა: **«იაზონმა და მისმამხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ იყო წიგნი ტყავზე ნაწერი, რომელიც შეიცავდა იმისა ღწერას, თუ როგორ შეიძლება მიიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით».**

«ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომისა იშვიათად მოეპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია, მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, რასაკვირველია, არა «მაფალუს» ხაზით. არსებობს ხომ პროვანსალური მწერლობა გვერდით ფრანგულისა ენისა. მთლიან რკალში საფრანგეთისა. ქართული მწერლობა ამით არას დაჰკარგავს რა – პირიქით: კიდევაც მოიგებს. მეგრულში მრავალი სიტყვაა ზედგამოჭრილი და მრავალი თქმა მოხდენილი. ეს, შესაძლოა, საზრდოდ იქცეს ქართულისათვის. სვანურზეც ესევე ითქმის». (გრიგოლ რობაქიძე).

«...გეკითხებით თქვენ და ვეკითხებით ქართულ ინტელიგენციას, ფილოლოგებს, ისტორიკოსებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებშია ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა? არწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს დანაშაულებრივი ქმედებანი არ შეიძლება შედიოდეს... ამიხსენით, რატომ არ უნდა იყოს ეს სფერო საქართველოს ხელისუფლების, ქართული ინტელიგენციის ზრუნვის საგანი? კატალონიურ ენაზე წერენ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები – ესპინასი, ტორესი, პორსელი, მაგრამ ისინი გამოჩენილ ესპანელ მწერლებად ითვლებიან. იმავე ესპანეთში არსებობს და წარმატებით ვითარდება გალისიური ლიტერატურა – ვარელა, კასარესი, მაგრამ ეს ესპანური კულტურის განუყოფელი ნაწილია. რატომ არ შეიძლება მეგრულ ენაზე შექმნილი ლექსი თუ რომანი იყოს ქართული ლიტერატურის ღირსეული ნაწილი?

ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, მათ შორის, შესაბამისი ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება. სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისთვის, იმ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, ვისაც ნამდვილად სურს ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართულ იეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა. ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის, სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა, ქართველობის მტრობას ნიშნავს, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას ნიშნავს. ეს **«მოღვაწეები»** – ერის მტრებად უნდა გამოცხადდნენ». (ალექსანდრე ჭაჭია).

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია **«სამეგრელოს»** II ყრილობაზე შეეხო კიდევ ერთ მთავარ თემას, რომელიც ძალზე აქტუალურია და გარკვეულ ახსნას მოითხოვდა, ეს იყო აფხაზეთის თემა:

«თქვენ იცით, რომ მე აფხაზეთის მკვიდრი ვარ. მართალია, იქ აღარაფერი დამრჩა, ყველაფერი გადაწვეს და გადაბუგეს, მაგრამ მამაჩემისა და ბაბუაჩემის საფლავები იქ არის, ისევე, როგორც ჩემი ნათესავების დიდი ნაწილისა. და იმ წმინდა მიწის დაბრუნება ჩემი არა მხოლოდ ოცნებაა, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება. როცა ეს მოხდება, მე ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი მიღწეულია. მეტიც, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩემი ჩართვა სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული.

მე არ შემიძლია იმ კაცის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო, რომელმაც ყველა პირობა შექმნა, რომ ჩემი ხალხი გაუბედურებულიყო, რომელმაც არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველები გაყიდა, არამედ თვით სამეგრელო არაერთხელ, არა ორჯერ, არამედ ხუთჯერ ზედიზედ გადაბუგა, დაამცირა და შეურაცხყო, რომელსაც ტელეფონით ურეკავდნენ და სამეგრელოს მშიერი მოსახლეობისთვის ფქვილის გამოყოფას სთხოვდნენ, პასუხად ესმოდათ: დაიხოცონ შიმშილითო! ამ კაცს აფხაზეთის დაბრუნება და სამეგრელოს აყვავება შეიძლება უნდოდეს? მე არ შემიძლია, აგრეთვე, იმ ჩეჩნის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელიც აფხაზეთში ჩემს ძმებს თავებს კვეთდა, სისხლით ჭიქას ავსებდა და ჩემი თანამოძმის სისხლს სვამდა, ხოლო დღეს აფხაზეთის დამბრუნებლად და მხსნელად გვევლინება.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მემუარების მოყვარულებს შეუძლიათ შემახსენონ კორა დრობანცევა-ლანდაუს მაგალითი, რომელიც მშვიდად ხვდებოდა ქმრის სისტემატურ ღალატს და გარკვეული სიამაყის განცდითაც აღწერდა კიდეც მის სასიყვარულო თავგადასავლებს. მაგრამ, შეიძლება მივიჩნიოთ ქალბატონი კორა ნორმალურ ქალად? ან ლანდაუ მივიჩნიოთ ნორმალურ მამაკაცად?

აი, ამით დავამთავრებ მე ამ თემის გაშუქებას.

ვუბრუნდები რა პლენუმს, უნდა აღვნიშნო, რომ მისმა ფინალურმა აკორდმა – დადგენილებამ სათავე დაუდო ლავრენტი ბერიას სახის მრავალწლიანი დემონიზაციის პროცესს.

ამის შედეგად, ფრაზას **"სკკპ პოლიტბიუროს და პრეზიდიუმის წევრი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი, სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი..."** მყარად ჩაენაცვლა სიტყვები – **"სისხლისმსმელი", "სექსუალური მანიაკი", "ჯალათი, რომელსაც ხელები უდანაშაულო ხალხის სისხლში აქვს გასვრილი"** და სხვა ამგვარი.

სკკპ ცეკას ივლისის პლენუმის ატმოსფერო განსაკუთრებით მასშტაბურად გავრცელდა მოსკოვის იმ დაწესებულებებში, სადაც შრომობდა და მოღვაწეობდა ლავრენტი ბერია, მათ შორის ახლადშექმნილი საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს №1 საკონსტრუქტორო ბიუროში. ეს ატმოსფერო კარგად აღწერა ჩვენმა ნაცნობმა პუბლიცისტმა გრიგორი კისუნკომ. ამავე დროს, იგი, სულაც არ დაუკვირდა, რომ გამოამზეურა მისთვის ესოდენ საძულველი ბერიას გამამართლებელი დოკუმენტები.

"ბერიას მიერ "ხელდასხმულთა" სიაში მოხვდა №1 საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელი ელიანი – სახელგანთქმული საარტილერიო ქარხნის ყოფილი დირექტორი, რომელიც ფრონტს აწვდიდა საჭირო ზარბაზნებს, იმაზე ბევრად მეტი რაოდენობით, ვიდრე ამას აკეთებდა ფაშისტური გერმანიის მთელი მრეწველობა. სწორედ ეს საწარმო გახლდათ საბჭოთა ატომური ენერგიის მრეწველობის ფლაგმანი, შემდეგ კი სისტემა "ბერკუტის" შემქმნელი.

ვიდრე ჩემი დასვენების დღეები დასრულდებოდა (ბერია მაშინ დააპატიმრეს, როცა შვებულებაში მყოფი კისუნკო სოჩაში ისვენებდა ოჯახთან ერთად), №1 საკონსტრუქციო ბიუროში გაიმართა მძაფრი პარტიული კრება, რომელზეც, როგორც მე მომიყვნენ, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ არა მხოლოდ ბერიას, არამედ მის მიერ დანიშნულ კადრებსაც, რომელთა შორის მოიხსენიებოდნენ საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორის მოადგილეები გ.ი. კუტეპოვი, პ.ნ. კუკსენკო, ა.ს. ელიანი...

ყველაზე მაგრად ელიანს მოხვდა. შეახსენეს თუ როგორ მკაცრად ექცეოდა თანამშრომლებს საამქროების დანაგვიანებისა და უწესრიგობისათვის, წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის, ლოთობისათვის, მთავარი ბრალდება კი ის იყო, რომ იგი ლავრენტი ბერიას მიერ დანიშნულია. ვიღაცამ ისიც კი შეახსენა ელიანს, რომ მან "დასასვენებელი საგზური არ გამოუყო ჩვენს უნიჭიერეს სპეციალისტს კისუნკოს, რომელიც იძულებული გახდა მოხეტიალე დამსვენებლად ჩასულიყო სოჩაში" (სინამდვილეში კი, კისუნკომ უარი განაცხადა ელიანის მიერ შემოთავაზებულ საგზურზე, რადგან, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, სურდა, რომ სოჩაში მოხეტიალე დამსვენებლად ჩასულიყო – ს.კ.).

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, ეს პარტიული კრება გახლდათ მინიატურული ასლი იმ უაზრობისა და დემაგოგიისა, რაც დატრიალდა მსხვილმასშტაბიან პლენუმზე ბერიას სახელის გარშემო! რაოდენ ტრაგიკულად წააგავდნენ ერთამანეთს, ორივე ამ ღონისძიებაზე, ლავრენტი ბერიას ბოროტ დამნაშავედ წარმოსახვის მოტივები და მიზეზები!

ბერიას არ მისცეს მის მიმართ ბრალდებად წამოყენებულ ინსინუაციებზე პასუხის გაცემის საშუალება, და მე ეჭვი არ მეპარება – ბერიასათვის ამის შესაძლებლობა რომ მიეცათ, მისი პასუხი იგივე იქნებოდა, რაც ელიანმა უპასუხა პარტიული კრების მონაწილეებს, რომელსაც აქვეყნებს კისუნკო:

"ამო სერგოს ძე ელიანმა, მოისმინა რა ისტერიული გამოსვლები, თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ №1 საკონსტრუქტორო ბიურო ასრულებდა და ასრულებს მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს, და არა ბერიას სურვილებს. ჩვენ აქ ბერიას დანიშნულები კი არა ვართ, ჩვენ აქ დაგვნიშნა პარტიამ და მთავრობამ. ჩვენი კოლექტივის ვალია, წარმატებით გაართვას თავის სახელმწიფო დავალებების შესრულების საქმეს".

ელიანი მართლაც ნათელი ფიგურა გახლდათ და მას კარგად იცნობდა სტალინი. დიდი სამამულო ომის დროს, აი, რა მოხდა: სახალხო კომისარმა უსტინოვმა მოტოციკლით ავარია მოახდინა და საავადმყოფოში მოხვდა (უსტინოვი მოტოციკლეტის დიდი მოყვარული გახლდათ და მისი პერსონალური თვითმფრინავით ყოველთვის დაჰქონდათ მოტოციკლეტი, რითაც იგი გადაადგილდებოდა პოლიგონებისა და **"ობიექტების"** მოსანახულებლად). უსტინოვის ამგვარ ყმაწვილურ თავქარიანობას სტალინმა რისხვა შეაგება (ეს მართლაც უსტინოვის **"თავქარიანობა"** გახლდათ), მან ელიანს მაღალი სიხშირის ტელეფონით დაურეკა, და განუცხადა, რომ მას სახალხო კომისარიატი ჩაებარებინა. მაგრამ ელიანმა უპასუხა, რომ, ვიდრე უსტინოვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, იგი მის პოსტს ვერ დაიკავებს.

ეს ისტორია ნათელჰყოფს არა მხოლოდ ელიანის პრინციპულობას, არამედ სტალინის ნატურას, რომელმაც მართებულად შეაფასა ელიანის საქციელი და აღარ დაატეხა თავს რისხვა. ახლა კი მას საჯაროდ კიცხავდნენ და კისუნკომ, რომელმაც ვერ შეიგნო, რომ წერდა ბერიასა და სტალინზე, ასეთი რამ განაცხადა ელიანზე:

"საზოგადოებრივი ყოფის მკვეთრ მოსახვევებში წესიერი ადამიანები ხშირად განიარაღებულები აღმოჩნდებიან ხოლმე თანამდებობებს, წოდებებსა და ჩინმენდლებს დახარბებული ვიგინდარების წინაშე. სწორედ ამგვარი სიტუაციის წინაშე აღმოჩნდნენ კუკსენკო და ელიანი".

"და ბერიაც – 1953 წელს" – დავუმატებ მე.

"და სტალინი – 1956 წელს" – კიდევ დავუმატებ მე.

ელიანის ფსიქოლოგიური ბედი, ბერიას დაპატიმრების შემდეგ, იმდენად ჩაეხლართა ბერიას ბედს, რომ მკითხველს დაწვრილებით უნდა მოვუთხრო ამის თაობაზე, თანაც, ბერიას მოძულე გრიგორი კისუნკოს პირით:

"მალე გახდა ცნობილი მოსკოვის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთი ქარხნის მთავარ მექანიკოსად ელიანის დანიშვნის თაობაზე. იქ, ამ უნიჭიერეს ინჟინერს, რომელმაც, როგორც ფასდაუდებელმა სპეციალისტს, სოციალისტური შრომის გმირს, სტალინური პრემიის ლაურეატს, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალმაიორს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რომელმაც მართლაც ფრიადზე იცოდა წარმოება, უნდა ეკონტროლებინა საამქროების ვენტილირების პროცესი, არასტანდარტული მოწყობილობების წარმოება და ტაკელაჟური სამუშაოები.

მაგრამ ელიანს დიდი ხანი არ მოუწევს ახალი მოვალეობების შესრულება. ზედიზედ სამჯერ დაემართება ინსულტი, რომლის შემდეგაც, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში... იქნება სრულიად უმოძრაო და უმწეო, გაითიშება სამყაროსაგან, რადგან სრულიად დაჰკარგავს შემეცნებისა და აზროვნების უნარს.

ელიანს დაკრძალავენ იმ სამხედრო პატივის გარეშე, რაც ეკუთვნოდა გენერალმაიორს. მიცვალებულისათვის სათანადო პატივის მიგება აიკრძალება სკკპ ცეკას განყოფილების გამგის ი.დ. სერბინის მიერ. კუბოს იმ მცირეცხოვან ჭირისუფალთა გუნდი მიჰყვება, რომელთათვის შეტყობინებაც მოკლე ვადაში მოასწრეს ოჯახის წევრებმა..."

და ეს ყველაფერი უაღრესად სიმბოლური იყო! საბჭოთა კავშირის თავბრუდამხვევი წინსვლის პერიოდში, როცა ქვეყანას ხელმძღვანელობდნენ სტალინი და ბერია, სიცოცხლეში აფასებდნენ და შემდეგ სათანადო პატივს მიაგებდნენ ელიანისთანა დამსახურებულ ადამიანებს.

იმ საბჭოთა კავშირს, რომელსაც თავზე აჯდა დროებას მორგებული პარტიული ფუნქციონერი ნიკიტა ხრუშჩოვი, ამო ელიანისთანა ხალხი აღარ სჭირდებოდა.

სტალინსა და ბერიას სჭირდებოდათ ინიციატივიანი, პრინციპული და შრომისმოყვარე კადრები, რომელთაც შეეძლოთ და უყვარდათ მუშაობა.

ხრუშჩოვსა და მის პარტოკრატიულ კომპანიას სჭირდებოდათ თავდახრილი შემსრულებლები, რომლებიც ყველაფრისათვის მზად იყვნენ კარიერისა და სკამების შესანარჩუნებლად. ამ პირობებში კი დაწინაურდნენ მხოლოდ რენეგატები, დასავლეთის გავლენის აგენტები.

სწორედ ამათი **"გავლენა"** გახლდათ ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის სულიერი და მატერიალური დეგრადაცია, რამაც იგი საბოლოო კრახამდე და დაღუპვამდე მიიყვანა.

ახლა კი, მოკლედ მაინც უნდა შევჩერდეთ ბერიასა და მის თანამებრძოლთა საგამოძიებო საქმეზე, რომელიც დამთავრდა 1953 წლის 24 დეკემბერს, გაზეთ **"პრავდაში"** გამოქვეყნებული ინფორმაციით: **"სსრკ უმაღლეს სასამართლოში"**.

ინფორმაციაში აღნიშნული იყო, რომ 1953 წლის 18-24 დეკემბერს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა გამსვლელმა კოლეგიამ დაამთავრა მუშაობა **"ლავრენტი ბერიასა და სხვა პირების სისხლის სამართლის საქმეზე"**, რომელთაც მიესაჯათ დახვრეტა და რომ **"განაჩენი სისრულეშია მოყვანილი"**.

ამ საგამოძიებო და სასამართლო პროცესების თაობაზე ერთადერთ სიმართლესთან მიახლოებულ ვერსიად უნდა განვიხილოთ ა. სუხომლინოვის წიგნი, რომელშიც ციტირებულია საგამოძიებო საქმის თითქმის 39-ვე ტომი. სუხომლინოვი ამ წიგნში გამოქვეყნდა ვ. მერკულოვის, ს. გოგლიძის, ბ. ქობულოვის, ვ. დეკანოზოვის, პ. მეშჩიკისა და ლ. ვლოდზიმირსკის დაკითხვის ოქმებს.

სუხომლინოვის წიგნის დაწვრილებით ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მთელი ეს სასამართლო-საგამოძიებო საქმე ფალსიფიცირებულია. ამავე დროს, ჩემი აზრით, ეს ფალსიფიკაცია ვეერივით იშლება ორ ძირითად მიმართულებად: 1) დოკუმენტების ფალსიფიკაცია ბრალდებულთა საგამოძიებო პროცესებში მონაწილეობის გარეშე და 2) საქმის ფიგურანტ 6 ბრალდებულზე ძალადობის გამოყენებით მათგან სასურველი ჩვენებების მიღება (რატომ 6 და არა 7 ბრალდებულზე, ბერიას ჩათვლით, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

პროკურორი სუხომლინოვი უხვად იშველიებს **"ბრალდებულთა ჩვენებებს"** და სრულიადაც არ უდარებს მათ ბერიას როლს საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მის წარსულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მაგრამ მე არ გადავდღი მკითხველს მრავალი მაგალითის ციტირებით, მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მათგანს. აი, მაგალითად, ნაწყვეტი ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფი ვსევოლოდ მერკულოვის მიერ 1953 წლის ივლისის დასასრულისათვის შედგენილი წერილიდან (რომელიც შეიძლება არც კი იყოს მისი დაწერილი), რომელიც მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა:

"ბერიას ჰქონდა ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი ძლიერი ბუნება.

მე მას ვიცნობ 1923 წლიდან, როცა იგი საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მაშინ იგი მხოლოდ 24 წლისა იყო, მაგრამ... იგი მუდმივად წინ მიიწევდა (მაგრამ, როგორც ჩვენ ვიცით, იგი მუდამ სწავლისაკენ მისწრაფვოდა – ს.კ.).

იგი ადამიანებს საკუთარ პერსონაზე დაბლა აყენებდა, განსაკუთრებით – ხელქვეითებს...

<...>

მე ხშირად ვაკვირდებოდი ბერიას ჭადრაკისა და ფრენბურთის თამაშისას. ბერიასათვის თამაშის დროს (მე ვფიქრობ, რომ მუშაობის დროსაც) მთავარი იყო გამარჯვება, რის ფასადაც არ უნდა დაჯდომოდა იგი... მას, ნოზდრევის მსგავსად, შეეძლო მეტოქისათვის მოეპარა ჭადრაკის ფიგურა, რათა გაემარჯვნა. და ასეთი "მოგება" მას აკმაყოფილებდა.

ბერიას კულტურა და განათლება, განსაკუთრებით თბილისში მოღვაწეობის პერიოდში, არ გახლდათ მაღალი. მაშინ ბერიას სტილისტიკურად გამართული რამდენიმე წინადადების დაწერაც კი არ შეეძლო..."

უკიდურეს შემთხვევაში, ამ სიტყვების ნაწილი მაინც ეკუთვნის ვსევოლოდ მერკულოვს – იგრძნობა დახვეწილი სტილი და ლიტერსტურული ინტუიცია, რაც აშკარად გააჩნდა მერკულოვს. სწორედაც რომ ლიტერატურული! იგივე სუხომლინოვიც ხომ ახალგაზრდა ბერიაზე წერს:

"თანამედროვე ფსიქოლოგმა... უნდა შენიშნოს, რომ ბერია აზრებს გადმოსცემდა ლოგიკურად, დალაგებულად და სხარტად... მან კარგად იცოდა რუსული ენა, ჰქონდა მაღალი ზოგადი განათლება, წერდა ლამაზი ასოებით, 20 წლის ბერია კი იშვიათად უშვებდა ორთოგრაფიულ და გრამატიკულ შეცდომებს..."

როგორც ხედავთ, მერკულოვმა (შეიძლება რუდენკოს ჯგუფის რომელიმე რედაქტორმა) **"შემოქმედებითად"** დაუკავშირა ერთმანეთს ტყუილი და მართალი ბერიას თაობაზე. ალბათ მერკულოვი გულწრფელი მხოლოდ მაშინ იყო, როცა წერილს ადგენდა ბერიას სახელზე და ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ მასთან ერთად იმუშავებდა ნებისმიერ, თუნდაც რიგით თანამდებობაზე....

და, აი, კიდევ მაგალითი... როცა სუხომლინოვი ეხებოდა საქართველოში 1937 წელს ჩატარებული რეპრესიების **"მხეცობებს"**, იგი არც თუ კრიტიკულად ახდენდა გაზეთ **"ზარია ვოსტოკას"** ყოფილი პოლიტიკური ცენზორის ვასინას ჩვენებების ციტირებას, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს და ორი თვე გაატარებინეს ციხეში:

"ჩემი ტანჯვა არაფერია იმასთან შედარებით, რაც განიცადა აფხაზმა ქალმა სარია ლაკობამ... მისი ტანჯვა-წამების შესახებ ცალკე დიდი წიგნის დაწერა შეიძლება... სარია ლაკობა ულამაზესი ქალბატონი იყო, აბრეშუმივით პრიალა თმები ჰქონდა. ერთხელ, როცა მორიგი დაკითხვიდან დაბრუნდა, შევნიშნე, რომ მისთვის თმების მთელი ბღუჯა ამოეგლიჯათ... სარია მიყვებოდა, რომ გამომძიებლები თვალჭრელიძე, კრომიანი და სავიცკი მას თმებით დაათრევდნენ, მოტეხეს ყბა... მორიგი დაკითხვიდან სარია საკაცით შემოიყვანეს კამერაში, რადგან ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული..." და ა.შ.

მოკლედ, მთლი ეს ლიტერატურული კავალკადა მაგონებს ერთი უნიჭო მწერლის მიერ დაწეილ ფრაზას: **"შუქურა ხან ქრებოდა, ხან კი აინთებოდა ხოლმე..."** თუ საქართველოს შინსახკომში ასეთი საშინელებები ხდებოდა, მაშინ ორ თვეში როგორ გამოაღწია იქიდან მთელი ამ მხეცობების უშუალო მოწმემ ვასინამ? ასევე, – თავად სარია ლაკობამ?

სუხომლინოვის წიგნში მოყვანილია იმ ვიზებისა და განკარგულებათა ფაქსიმილური ასლები, რომლითა თითქოს ბერია ხალხს აპატიმრებდა 1937 წელს. მაგრამ ამ ხელნაწერებისა და ბერიას ნამდვილი ხელმოწერების ურთიერთშედარება ადასტურებს, რომ რუდენკოს ჯგუფში შემავალი **"მწერლები"** დიდად არ იწუხებდნენ თავს საიმისოდ, რომ რეალური საბუთებისა და **"სისხლიანი"** დოკუმენტების ტექსტთა ასოების მოხაზულობა ოდნავ მაინც მიემსგავსებინათ ერთმანეთისათვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

13 წლის შემდეგ...

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

კარგად მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კიდევ ერთი, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა ჰქვია.

ალბათ, ბევრჯერ გსმენიათ, რომ მე რუსული ორიენტაცია მახასიათებს, რომ კრემლის აგენტი ვარ და ა. შ. აქ ჩვენ საერთოდ საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე. როგორც კი ვიწყებ ლაპარაკს ქართველი ერის შენარჩუნებაზე, საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, მაშინვე **«კრემლის აგენტობას»** მაბრალებენ. მაბრალებენ ისინი, ვინც წლების განმავლობაში მიზანმიმართულად, დაუმალავად სპობენ ქართველობას, ღიად უპირისპირდებიან ქართულ მართლმადიდებლობას თუ ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას, უარყოფენ ქართულ ეროვნებას, ანადგურებენ ქართულ კულტურას და ცვლიან მას ამერიკული კულტურის სუროგატით.

რაც შეეხება ჩემს **«პრორუსულობას»**, მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია ისურვოს რუსეთთან ჩვენი მტრული ურთიერთობა. მხოლოდ და მხოლოდ იდიოტს შეუძლია იმ ქვეყანასთან ურთიერთობის გაფუჭება, რომლის ბაზარს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სადაც ჩვენი ერის ერთი მესამედი ნაწილი იძულებითაა გადასახლებული, იქ მუშაობს და იქ ნაშოვნი ფულით კიდევ ერთ მესამედს სამშობლოში ინახავს.

რა არის ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის არსი? ლანძღვა და გინება, შეურიგებლობა, ხოლო კრიტიკულ მომენტში აბსოლუტურად ყველაფრის დათმობა და ქვეყნის ჩაგდება კიდევ უფრო დიდ გასაჭირში. შეიძლება ეს პოლიტიკად ჩაითვალოს? დამისახელეთ ერთი ფაქტი მაინც, როდესაც შევარდნაძემ და მისმა გაუნათლებელმა მოლაყბე გუნდმა რამეში რუსეთს მოუგო ან მცირე ზარალი მაინც მიაყენა, მიუხედავად იმ სისტემატიური მუქარისა, ლანძღვა-გინებისა, სასაცილო და სამარცხვინო ულტიმატუმებისა, რომლებიც მუდმივად ისმის მათი მხრიდან.

ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს არა ვიწროპარტიულმა ინტერესებმა, არა პარტიულმა მსოფლმხედველობამ, არა რომელიღაც უცხო იდეოლოგიურმა დოქტრინამ, არამედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა პოზიციამ, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება – **«სამშობლოს გადარჩენა»**. ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა სამეგრელოში სწორედ სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»** უნდა იყოს. ეს ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელიც მთელ მოსახლეობას გააერთიანებს, მთელი სამეგრელოს ინტერესების გამომხატველი იქნება.

ეს უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ პარტიას უნდა დაუჭიროს მხარი საპარლამენტო არჩევნების დროს, ანუ ეს უნდა იყოს ძალა, რომლის გადაწყვეტილება მთელი სამეგრელოს მხარდაჭერას ნიშნავს და იმ პარტიამ, იმ საარჩევნო ბლოკმა, პრეზიდენტობის იმ კანდიდატმა, რომელსაც სამეგრელოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერა დასჭირდება, სწორედ ამ სახალხო მოძრაობასთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა და სწორედ მას უნდა მისცეს შესაბამისი გარანტიები, იქნება ეს საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობა თუ სამეგრელოში კონკრეტული ეკონომიკური პროექტების რეალიზება. ყველა სხვა შემთხვევაში, სამეგრელოს ხმებით ისარგებლებენ და შემდეგ არჩევნებამდე ისევ დაივიწყებენ ჩვენს გასაჭირს, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა...»

თუ შევეცდებით, შევაჯამოთ სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» მიერ განვლილი გზა დაფუძნებიდან (1999 წლის მარტი) მეორე ყრილობამდე (2001 წლის ოქტომბერი), რომელიც მოიცავს 2 წელსა და 7 თვეს და თვით მეორე ყრილობის შედეგებს, გაწეულმა მუშაობამ თვალნათლივ დაადასტურა მისი დაფუძნების ისტორიული აუცილებლობა, მისი როლის თანდათანობითი გაფართოება და ზრდა, მისი ავტორიტეტის უწყვეტი ამაღლება. მოძრაობის მეორე ყრილობაზე ყოველივე აღნიშნულს მიეცა თეორიული გამართლება, თეორიული დასაბუთება და ნათელი გახდა, რომ დროის შემდეგი სვლა მხოლოდ დაასაბუთებდა ყოველივე ამას და ამავე დროს **«სამეგრელო»** ახალ-ახალ ნაბიჯებს გადადგამდა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეორე ყრილობამ სათავე დაუდო სამეგრელოს მოსახლეობის გამოფხიზლებას, მეტიც, ხალხმა განსაზღვრა, თუ ვინ მიიყვანა ქვეყანა დაღუპვის პირას და ვის ძალუძდა ჯერ კიდევ მისი გადარჩენა. ხალხმა საბოლოოდ გამოუცხადა ალექსანდრე ჭაჭიას და მის გუნდს ნდობა. ძირითად ხაზად აირჩია ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შემუშავებული **«საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიისა და ეროვნული იდეის»** მიერ დასმული ამოცანები, ნაშრომისა, რომელიც ღრმა ეროვნული შინაარსისაა და ქვეყნის წინსვლის პროგრამას წარმოადგენს.

სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» მესამე ყრილობა გაიმართა 2003 წლის 18 ივლისს ნოქალაქევის (ქ. სენაკის რაიონი) ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელიც ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ააგო (მაშინ ციხე-გოჯი ერქვა). ყრილობის მუშაობა არ იყო მომწყვდეული თუნდაც ძალიან დიდი დარბაზის არტახებში. ის ჩატარდა ღია ცის ქვეშ, ისტორიული ნანგრევების გვერდით და სახალხო ზეიმის ვითარებაში, შესაშურ სიწყნარესა და სოლიდური მუშაობის ატმოსფეროში. თითქმის ათი წელი გავიდა მესამე ყრილობის შემდეგ და დღესაც ახსოვს სამეგრელოს მოსახლეობას ეს მასშტაბური ღონისძიება.

«ის ენთუზიაზმი, რომლითაც სამეგრელოს მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში, ის მზადყოფნა, რომელიც ხალხმა გამოხატა ჩვენი რეგიონის პრობლემების, მოსახლეობის გაერთიანების საკითხების გადასაჭრელად მოწმობს იმას, რომ ათწლიანმა სიდუხჭირემ, ომმა, უბედურებამ, შეურაცხყოფამ, ათასნაირმა ბრალდებამ ვერ მოსპო მეგრელ კაცში სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი, სამშობლოს სიყვარული, ქვეყნის მომავალზე ზრუნვა, ისტორიისა და წინაპართა წინაშე პასუხისმგებლობა»... (ალექსანდრე ჭაჭია).

«სამეგრელოს» მესამე ყრილობის შესახებ ბევრი დაიწერა. მისი შინაარსი დიდხანს იყო მსჯელობის, ანალიზის, დასკვნების ობიექტი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მას ხომ 8000 დელეგატი და 1000 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს იმ უფლებებით შექმნის შესახებ, რომელიც ყოველწლიურად მოიწვევს სახალხო კრებას და რომელიც მოაწესრიგებს ყოველდღიურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს, დაგმობს ყოველგვარი სახის დანაშაულს. საბჭოსა და კრების გადაწყვეტილებები აუცილებელი უნდა იყოს რეგიონის თითოეული ადამიანისთვის. ამ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა უნდა იწვევდეს საზოგადოებრივი აზრის საჭირო რეაქციას. იმედია, რომ მსგავსი ნაბიჯები გაზრდის თითოეული ოჯახის, გვარის, ქალაქის პასუხისმგებლობას რეგიონის წინაშე.

შეიქმნა **«კოლხურ-ლაზური კულტურის აღორძინების ასოციაცია»**, რომლის მიზნებისა და ამოცანების სწორად განზრახვა და რეალიზება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

«ჩვენ განვაცხადეთ: ყველა მეგრელის ვალია სამეგრელოსა და მის მოსახლეობაზე ფიქრი და ზრუნვა, მისი გაჭირვების გაზიარება, მისთვის მხარდაჭერისა და დახმარების გაწევა. მეგრელს, რომელსაც სამეგრელოს ბედი არ აწუხებს, მას არც საქართველო უყვარს და არც ქართველობისა სწამს. ამ მოწოდებით ჩვენ იმ თანამემამულეებს მივმართავთ, რომელთაც საკუთარი წარმოშობა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა დედაქალაქში თბილი სავარძლიდან ამოაგდებენ ან როდესაც დეპუტატის სტატუსი მოესურვებათ.

გასულ პერიოდში მოძრაობა «სამეგრელოს» საქმიანობა ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით შემოიფარგლებოდა. გამოცემულია რამდენიმე მეგრული ლექსიკონი, რამდენიმე წიგნი სამეგრელოს ისტორიასა და კულტურაზე. ჩატარებულია ცნობილი პოეტების, მწერლების, მეცნიერების ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციები. პერიოდულად ამოდის ჟურნალი «აია», მოძრაობა «სამეგრელოს» გაზეთები «ილორი» და «ფარტაზის სამრეკლო». უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია მოძრაობა «სამეგრელოს» ინიციატივითა და სახსრებით ქ. ზუგდიდში ერთიანი საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ძეგლის აღმართვა. ეს ძეგლი არ არის უბრალოდ ქანდაკება და არც უბრალოდ ხსოვნის სიმბოლო, ეს არის სიმბოლო ქართველი ერის სულიერი სიძლიერისა და მადლიერებისა, ქართული სულის უკვდავებისა, ეროვნული ღირსებისა, ეს არის სიმბოლო ქართველთა პატივისცემისა იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც შეძლო ქართული სულის აღორძინება და ამაღლება, რომელმაც სცადა, წაეყვანა ჩვენი ერი განვითარების იმ გზით, რომელიც ეფუძნებოდა ქართულ ზნეობრივ, მორალურ, ისტორიულ ღირებულებებს, ტრადიციულ თვითმყოფადობას, ეროვნულ შეგნებას და მისწრაფებებს.

ასრულებს თუ არა მოძრაობა «სამეგრელო» მასზე დაკისრებულ მოვალეობას? ჯერჯერობით ვერ ასრულებს, ვინაიდან დღემდე არ არის მიღწეული მოძრაობის ძირითადი მიზანი – სამეგრელოს მოსახლეობის საერთო იდეის გარშემო გაერთიანება. სწორედ ამ ისტორიული მნიშვნელობის იდეა-მიზნის რეალიზაციას უნდა ჩაეყაროს საფუძველი დღევანდელ მესამე ყრილობაზე. მე ვთავაზობ ყრილობას, მოძრაობა «სამეგრელოს» ბაზაზე დავაწესოთ და რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც, ჩავატაროთ სამეგრელოს სახალხო კრება. ასევე უნდა შეიქმნას სამეგრელოს უხუცესთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევა სამეგრელოს ამა თუ იმ რაიონისა და ქალაქის 10-10 ყველაზე ავტორიტეტული, გამოცდილი პიროვნება, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება. ნუთუ სამეგრელოს არ უნდა ჰქონდეს კონსოლიდირებული აზრი აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით? ხომ ყველასათვის გასაგებია, რომ სწორედ სამეგრელომ უნდა შეასრულოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი! ჩვენი მონაწილეობის, ჩვენი კეთილი ნების, ჩვენი მზადყოფნის გარეშე, ვერც ერთი ძალა მსოფლიოში ვერ გადაწყვეტს აფხაზეთის კონფლიქტს.

სამეგრელოში ადრე რომ ყოფილიყო სახალხო კრების, უხუცესთა საბჭოს ან სხვა სახით საყოველთაოდ აღიარებული, ავტორიტეტული სტრუქტურები, მაშინ ვერ გაგვიბედავდნენ ჩვენი მხარის აგდებას, ჩვენი ხალხის დაცინვას და შეურაცხყოფას. ვერ გაგვიბედავდნენ პრივატიზაციის ისეთი ფორმით ჩატარებას, როგორითაც ფოთის გემშენებელი ქარხანა, სადაც 8 ათასი კაცი მუშაობდა, მთელი მისი მრავალმილიონიანი ღირებულების დანადგარებითა და მზა პროდუქციით, ერთი «ჯიპის» ფასად გაიყიდა. ვერ გაგვიბედავდნენ ფოთის პორტის, ფაქტობრივად, წართმევას, როდესაც დღეს ფოთის პორტის სიკეთით არა თუ სამეგრელო, მარტო ქალაქიც ვერ სარგებლობს.

დავუბრუნოთ ნოქალაქევს ის სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის ღირსიცაა ეს წმინდა ადგილი. ნოქალაქევი არის საქართველოს გაერთიანების, ქართველთა თავდადების სიმბოლო, რომელიც ნებისმიერ ქართველს შეახსენებს იმ ისტორიულ ვალს, რომელიც ქართველებს ეკისრება ჩვენი ერის მთელი არსებობის განმავლობაში და რომელმაც დღემდე მოიყვანა საქართველო. ეს ვალი არის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება საქართველოს შენარჩუნება-განვითარებისთვის, მისი მთლიანობისთვის, ქართველთა მომავლისთვის.

ნოქალაქევი უნდა იყოს ადგილი, რომლიდანაც ჩვენ ერთად მივმართავთ ქართველ პოლიტიკოსებს, საქართველოს თავკაცებს, გაიხსენონ ქართველთა ის დიდებული წარსული, ის ისტორიული გამოცდილება, რომლითაც ამაყობს ყოველი ქართველი. სწორედ ნოქალაქევს აქვს უფლება, შეახსენოს ყველას ფარნავაზისა და ქუჯის უკვდავი მაგალითი. სწორედ აქედან უნდა გაისმას მკაცრი მოწოდება – მიბაძეთ ამ ისტორიულ გმირებს, გიყვარდეთ საქართველო» (ალექსანდრე ჭაჭია, 2003 წლის 18 ივლისი, ნოქალაქევი).

«ვარდების რევოლუციის» ორ წლისთავზე 2005 წლის 29 ნოემბერს ჩატარდა სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» მეოთხე ყრილობა. მასზე განხილულ იქნა ხელისუფლების ორწლიანი მუშაობის შედეგები და დაისახა სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გზები. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა კონსტრუქციული კრიტიკის გარემოში ჩატარდა, რიგ საკითხებს უკიდურესად მწვავე რეაქცია მოჰყვა როგორც მედიაში, ასევე სახელისუფლო წრეებში.

ყრილობაზე წაკითხულ იქნა ლაზური ენისა და კულტურის დაცვის საზოგადოება «ლაზებურას» მიმართვა ყრილობის დელეგატებისადმი, რომელსაც «ლაზებურას» თავმჯდომარე მუსტაფა ჯიბარიში აწერდა ხელს, ლიტერატორ თემურ ქორიძის მისალმება ყრილობისადმი, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა ყრილობას. მოხსენებით გამოვიდა სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» თავმჯდომარე, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. სიტყვით გამოვიდნენ: ენათმეცნიერი, მეგრული ენის მკვლევარი მამანტი ძაძამია, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა, ვეტერანი ხუტა ხუფენია, გაზეთ **«ილორის»** რედაქტორი როლანდ ჯალადანია.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია:

– შემუშავდეს და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილ იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კანონპროექტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს რეგიონების კონსტიტუციური სტატუსი;

– შეიქმნას სამეგრელოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამა, ამ გზით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობის მითითებით;

– შემუშავდეს და განხორციელდეს სამეგრელოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის პროექტი, გაიმართოს მოლაპარაკება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში გალის რაიონის ჩართვის შესახებ;

– ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსაყვანად სასწრაფოდ მომზადდეს კანონი ინვესტიციების შესახებ, სათანადოდ, საშეღავათო პირობების დაწესებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისკენ მიმართული როგორც უცხოური, ისე სამამულო კაპიტალისთვის;

– განისაზღვროს მყარი პროცენტი ფოთის პორტის შემოსავლიდან საკუთრივ ფოთისა და სამეგრელოს საჭიროებისთვის წარსამართავად;

– დაჩქარდეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიება და აღნიშნული საქმის დეტალების საზოგადოებისთვის გაცნობა, მომზადდეს ზვიად გამსახურდიას ძეგლის პროექტი საქართველოს დედაქალაქში აღსამართავად;

– მომზადდეს და განათლების ეროვნულ პროგრამაში ჩაიდოს საშუალო სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსი;

(გაგრძელება მე-6 გვერდზე

13 წლის შემდეგ...

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

– შესაბამისი საზოგადოებრივი შეფასება მიეცეს ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის, სამეგრელოს მრავალგზის ეგზეკუციას;

– გადაისინჯოს ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო ნოვაციები, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი, ანტიდემოკრატიულია და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას აფერხებს;

– უმოკლეს ვადაში რეგიონების გუბერნატორების, ქალაქებისა და რაიონული ადმინისტრაციების პირველ პირთა პირდაპირი არჩევითობის უზრუნველყოფა;

– შეწყდეს მართლმადიდებლური ეკლესიის როლის დაკნინების, ქართული ეროვნული ტრადიციების, თვითმყოფადობის, სპეციფიკური ადათ-წესების უგულებელყოფის, დაცინვის, დამცირების მავნე პრაქტიკა;

– შემუშავდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეგრელოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე შეუფერხებლად გატანას.

* * *

29 ნოემბერს გამართული ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას, მოძრაობის ლიდერის – ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენებას, თანამომხსენებლების, ბატონების – მამანტი ძაძამიასა და ვახტანგ ხარჩილავას გამოსვლას მოჰყვა პროფესორების: ანანია ჯაფარიძის, გონელი არახამიას, ნომადი ბართაიას, თეიმურაზ გვანცელაძის, რეზო შეროზიას, მერაბ ნაჭყებიას, მანანა ტაბიძის, ტარიელ ფუტკარაძის კოლექტიური წერილი პრეზიდენტისადმი, იყო სხვა გამოხმაურებებიც როგორც დადებითი, ისე კრიტიკული.

აქვე გთავაზობთამ საკითხებთან დაკავშირებითკომენტარს, რომელიც გააკეთა სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» თავმჯდომარემ, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ:

«– ყრილობის შედეგებით კმაყოფილი ვარ. განხილული საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოსთვის, თუმცა საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგიერთი ტელეარხის პროვოკაციის შედეგად საკმაოდ შეშფოთდა. საქმე ისაა, რომ ყრილობამ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გასაცნობი კურსის შემოტანა მოითხოვა, მეორე დღეს კი პრესაში გამოქვეყნდა მეცნიერთა ერთი ჯგუფის ხელისუფლებისადმი მიმართვა, რომელშიც ამ ენებს კუთხურ კილოკავებს უწოდებდა და მათ შესწავლას ქვეყნის დანგრევასთან აიგივებდა.

მე არა ვარ ფილოლოგი, მეგრულს ან სვანურს რაიმე კვალიფიკაცია რომ მივანიჭო, მაგრამ მინდა შეგახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: **«მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები. მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყინს. მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტად ეს ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი».**

ეს არის დიდი აკაკის რჩევა, რომელიც მეგრულს ენად და ქართული ენობრივი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ასევე ჩანს, თუ ვის შეიძლება «ეწყინოს» და «ყურში ცუდად გაეჩხიროს» მეგრულ ენაზე ზრუნვა.

ჩემის აზრით, ნებისმიერი ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უდიდესი ფენომენი – ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული და სვანური ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, პატრიოტი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები მეგრულს მეცნიერულად იკვლევენ, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენას.

მინდა ვკითხო დღევანდელ მეცნიერებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ საუნჯის იგნორირება დააბუჩად აგდება? დარწმუნებულივარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს არშეიძლება შედიოდეს.

რაც შეეხება სკოლებში მეგრული და სვანური ენების გასაცნობი კურსის შემოღებას, მითხარით, რა არის ცუდი იმაში, თუკი ქართველი ბავშვი ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან სამეგრელოს ან სვანეთის სოფლებში მოხვედრისას, ან ქუჩაში მეგრულს თუ სვანურს რომ მოჰკრავს ყურს, უცხო საუბრად არ აღიქვამს და იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას?

ბატონი გიორგი სიჭინავა მის მიერვე შედგენილ მეგრული ენის თვითმასწავლებელში წერს: «ჩემო პატარა მკითხველო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კოლხიბერთა ქვეყანაა. კოლხებს და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, დღესაც სხვადასხვა კუთხედ გატოტვილი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იკვებებიან. ქართველი ერის აკვანი შორეულ აიაში დაირწა და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდია: «იავნანა, მარდუნანა, იავნანინა». თავდაპირველად იქნებ გეუცხოოთ მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის, ის ძველისძველია, თქვენი სისხლით ნათესავების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია».

ჩემის აზრით, სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისთვის, იმ ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, რომელთაც ნამდვილად სურთ ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთიანობის შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული, სულიერი მთლიანობის აღდგენა. მე არ მიკვირს, როცა ასეთ მიდგომას გმობს პრეზიდენტის აპარატში მოკალათებული ვიღაც კარაპეტა, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან იმავეს მოსმენა, მართლაც, გასაკვირია.

ჩემის აზრით, არა მარტო მეგრული და სვანური, არამედ აფხაზური ენის გასაცნობი კურსიც შემოსაღებია ქართულ სკოლებში, რადგანაც ეს ენა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარა, სახელმწიფო ენას კი ყველა მოქალაქე უნდა იცნობდეს.

ზოგიერთი პროვოკატორის გარდა, ყველამ ჩინებულად იცის, ჩვენ ვითხოვთ მთელ საქართველოში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსის შემოღებას და არა სამეგრელოში მეგრულად სწავლებას. ყველა, ვინც ცდილობს, ასეთი კუთხით წარმოაჩინოს ჩვენი მოთხოვნა, ეწევა შეგნებულ პროვოკაციას შორსმიმავალი მიზნებით.

იმ პროფესორებს კი, რომლებიც მეგრულისა და სვანურის ლამის აკრძალვას მოითხოვენ, ასევე მინდა შევახსენო, რომ დამთავრდა კომუნისტური რეჟიმის პერიოდი, როდესაც შეიძლებოდა მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსის ავტორის დახვრეტა, გადასახლება ან თუნდაც პარტიულ ორგანოებში გამოძახება და მეგრულად ლექსის დაწერის აკრძალვა.

არ ვაპირებ პოლემიკას იმ მეცნიერებთან, რომლებმაც ხელისუფლების სახელზე სასწრაფოდ აფრინეს უსტარი და ლამის ჩემი დაჭერა მოითხოვეს, მით უფრო, რომ დღეს ქვეყნის წინაშე გაცილებით მძიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები დგას. უბრალოდ, მინდა ვკითხო მათ:

როგორ აპირებთ, ვთქვათ, ბატონებს – გიორგი სიჭინავას, ვახტანგ ხარჩილავას, რინოს კვარაცხელიას და სხვებს აუკრძალოთ მეგრული ლექსების წერა: პარტიულ ორგანოში დაიბარებთ, გადაასახლებთ თუ სულაც ჩეკას სამეულივით სასამართლოს გარეშე დახვრეტთ?

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?

ვინ იქნება იმავე მეგრელებისთვის მისაღები – ცნობილი ენათმეცნიერი, აფხაზების სიძე ჰიუიტი, რომელიც მეგრულს ერთ-ერთ უმდიდრეს ენად მიიჩნევს და მთელს ევროპაში უწევს მას პოპულარიზაციას, თუ ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ამ ენის არსებობას უარყოფენ და კნინობით, შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებენ?

ნუთუ გგონიათ, რომ რომელიმე ლაზში (ასეთი ორ მილიონამდეა და მათთან ნათესაური კავშირების აღდგენა თუნდაც იმიტომ შედის სახელმწიფოს ინტერესებში, რომ ისინი თურქეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან) სიმპათიას გამოიწვევთ, თუკი მათ ენას კუთხურ კილოკავს უწოდებთ? ხომ არ აჯობებს, ვუთხრათ მათ, რომ ლაზური ენა ქართული ენობრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია?!

როგორ დაუსახელებთ იმ ევროსტრუქტურებს, რომლებშიც გაერთიანებას ასე ცდილობს ხელისუფლება, რომ მეგრული და სვანური ენები უნდა აიკრძალოს მაშინ, როდესაც ესპანეთში არსებობს კატალონიური ენა ბრწყინვალე ლიტერატურით (მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები ესპინასი, ტორესი), არსებობს გალისიური ენა და ლიტერატურა (კასარესი, ვალესა) და ყოველივე ეს ესპანური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას ბრეტონულ და კორსიკულ ენებზე საფრანგეთში. ანალოგიური მდგომარეობაა იტალიაში, სადაც დიალექტებიც კი ისწავლება სკოლებში. ვის და როგორ აუხსნით, რომ ის, რაც ევროპულ ქვეყნებში ერის კონსოლიდაციას ემსახურება, საქართველოს დაშლით ემუქრება?

და ბოლოს, შევახსენებ ჩემს ოპონენტებს, რომ პოლიტიკოსთა და ვაიმეცნიერთა დაუღალავმა მტკიცებამ, თითქოს არც აფხაზური ენა არსებობს, არც აფხაზური ლიტერატურა და კულტურა, აფხაზეთის სახით ერთი მშობლიური კუთხე უკვე დამაკარგვინა!!!»

* * *

დროა ყველამ შეიგნოს, კიდევ ერთხელ გადახედოს საქართველოს ისტორიას, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ნაშრომებსა და წერილებს, ისინი ვერსად აღმოაჩენენ სეპარატიზმის კვალს როგორც მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე, ასევე იმ 13-წლიან პერიოდში, რაც დაფუძნებულია სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო».** მისი ლიდერის მუდმივი საფიქრალი და ტკივილი იყო ერთიანი საქართველო, ამიტომ ებრძოდა ის შევარდნაძეს, მის მოქალაქეთა კავშირს, ამიტომ აკრიტიკებდა და დღესაც მკაცრად აკრიტიკებს დღევანდელ ხელისუფლებას, ყოველთვის უთითებდა მათ იმ მცდარ გზაზე, საითაც მიყავდათ საქართველო. წაიკითხეთ, ბატონებო, ბატონ ალექსანდრეს ნაშრომი **«საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა».** წაიკითხეთ მისი ახალი შრომა, დიახ თამამად შეიძლება იმ ინტერვიუს, რომელიც ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ მისცა გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს», შრომა ეწოდოს. ყველგან ჩანს, რომ მას სტკივა სამშობლო, მას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე საქართველო საქართველოდ არ მიაჩნია, ამას ვინც ვერ ხედავს და ძალით იბრმავებს თვალს, «...ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე». ასეთი მტრებისა და მოყვრების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მეგრელებში სეპარატიზმის გრძნობა მაშინ არ დაბადებულა, როცა შევარდნაძე ებრძოდა მათ, დიახ ებრძოდა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრას. მან მშვენივრად იცოდა, ჯერ სამეგრელო უნდა გაენადგურება, რადგან ისე ვერ გაყიდდა აფხაზეთს. მას კარგად ახსოვდა, ვოვა ვეკუას სიკვდილზე რა რეაქცია ჰქონდათ მეგრელებს. რაც უნდა ძნელი წასაკითხი იყოს, მაინც უნდა შევახსენო ზოგიერთებს, რა გადაიტანეს მეგრელებმა: «დიალოგი მეგრელებთან არ შეიძლება, რაზე უნდა ელაპარაკო მათ... უბრალოდ, უნდა ამოწყვიტო და იმ მიწაზე სხვები დაასახლო» (ჯაბა იოსელიანი). «მე მინდოდა, ყველა დამეხვრიტა, გამეწმინდა საქართველო» (ანზორ ბალუაშვილი). «ისინი უნდა აილაგმონ, უნდა დავიჭიროთ... მე თვითონ ავიღებ დანას, დავსერავ და მარილს ჩავაყრი ჭრილობაში». ამ გამონათქვამებში ხომ აშკარად ჩანს, რომ შევარდნაძე და მისი დამქაშები ებრძოდნენ არა კრიმინალებს ან თუნდაც მათთვის მიუღებელ პიროვნებებს, არა ისინი ებრძოდნენ მთელ რეგიონს, დიდსა და პატარას, ამიტომ, ვინც გადარჩა, მათ მოუშალეს ბუდე და გაფანტეს მთელ საქართველოში. ასეთი ბოროტების ჩადენის, ასეთი სითამამის მიზეზი ისიც იყო, რომ ვერც ეკლესიამ, ვერც მწერალთა კავშირმა, ვერც მეცნიერებათა აკადემიამ და საერთოდ, მცირედი გამონაკლისის გარდა, მთელმა ინტელიგენციამ ვერ შეასრულა თავისი მისია ერის წინაშე, ვერ ჩადგა ძმებს შორის, პირიქით აქეთ-იქით გადანაწილდნენ და დაუწყეს ერთმანეთს ტყვიების სროლა ზოგმა ავტომატიდან, ზოგმაც ავტოკალმიდან. მაგონდება მამა ზენონის ერთი ინტერვიუ. ჟურნალისტის შეკითხვაზე; ეკლესია რატომ არ ჩადგა სამოქალაქო ომში გამშველებლის როლშიო, პასუხობს: «ჩვენ არ გვქონდა გარანტია, რომ არ გვესროდა ან ერთი, ან მეორე მხარეო». რა ჰქვია ამას? ინტელიგენციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, პროფესორ ნოდარ ლომოურს ეკუთვნის ეს სიტყვები: «ზვიად გამსახურდია ცოცხალი რომ იყოს, დღესაც ვესროდიო». მათთვის მთავარი იყო, შევარდნაძეს არ მოკარებოდა ცივი ნიავი, სამშობლოს კი ვინ დაგიდევდა. ასეთმა ხალხმა და მიდგომამ დაღუპა საქართველო, დაიკარგა ტერიტორიები.

რადგან სახალხო მოძრაობა «სამეგრელომ» თავისი არსებობის 13 წლის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი არის ის რეალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც ენდობა და მხარს უჭერს არა მარტო სამეგრელოს მოსახლეობა; მოძრაობას გააჩნია დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის დასტურიცაა თუნდაც მოძრაობის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი პოლიტიკური ნაშრომი, «საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა» და ახლახან გაზეთ «საქართველო და მსოფლიოში» გამოქვეყნებული ინტერვიუ. მას არასოდეს ჰქონია საქმიანი ურთიერთობები არც შევარდნაძის კორუმპირებულ ხელისუფლებასთან და არც მის მემკვიდრეებთან; უანგარო დახმარებას უწევს ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»**, მის ლიდერს არაერთხელ განუცხადებია, რომ, შიდაპოლიტიკურ გაუმართლებელ მიდგომებთან ერთად, რეგიონის განვითარებას აფერხებს ხელისუფლების მიერ არჩეული არასწორი საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური კურსი, რომელიც დამღუპველად აისახება როგორც სამეგრელოს, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე აშკარად ჩანს და ნათელია, რომ სამეგრელოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედი, იგი კიდევ ერთხელ დარჩა ცარიელი დაპირებებისა და ფარისევლური ქათინაურების ამარა.

ზაურ გახარია,
სახალხო მოძრაობა
«სამეგრელოს» კოორდინატორი

ნიკა რურუა თუ ნიკიტა ხრუშჩოვი

ძალიან არ მინდოდა ამ წერილის დაწერა და ამგვარი პარალელის გავლება, მაგრამ საზოგადოების ფართო სპექტრმა დაჟინებით მთხოვა, დამეწერა იმაზე, რაზეც გული შესტკივა და მეც, თქვენი მონა-მორჩილი, დავთანხმდი, რამეთუ ამ თხოვნას ადამიანების დიდი გულისწყრომა განაპირობებს.

ბატონო ნიკა!

თქვენი მოხსენიება ნიკიტა ხრუშჩოვად სწორედ საზოგადოების გულისწყრომის გათვალისწინებითაა განპირობებული და თქვენც არ უნდა გეწყინოთ, რადგანაც თქვენს სახელებსა და ქმედებებს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება. საქმე ეხება მიმდინარე წლის 9 აპრილს საღამოს ეთერში თქვენს მიერ გაჟღერებულ განცხადებას სტალინის სახლ-მუზეუმისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე, სადაც ეს უდიდესი პიროვნება უარყოფით კონტექსტში მოიხსენიეთ. ამდენად თქვენ და ნიკიტა ხრუშჩოვი მიცვალებულთა ძაგებაში და თეთრის შავად წარმოჩენაში ერთობ **"წარმატებული"** პიროვნებები ბრძანდებით. არ ვიცი, ამდენი ღვარძლი სად დაგიგროვდათ ჩვენი დიდი თანამემამულის მიმართ (ალბათ თქვენი ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე), მაგრამ ფაქტი სახეზეა და ვაი **"საწყალ სტალინს"**, რომ თქვენი განსაქიქებელი გახდა. თქვენ, თქვენი ქცევით, მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვს კი არ წააგავხართ, არამედ დონ-კიხოტ ლამანჩელსაც, რომელიც, როგორც თქვენთვის ალბათ ცნობილია, ქარის წისქვილებს ეომებოდა და უწყინარ ძროხაშიც კი ავი სული და ჯადოქარი ელანდებოდა. თუკი იოსებ სტალინის ძაგება და აუგად მოხსენიება პირადად თქვენგან მომდინარეობს, ამას ეშველება, მაგრამ...

მე იოსებ სტალინის დამცველი ვერ ვიქნები, ვინაიდან, მის ეპოქას, ასაკის გამო, პატარა ბავშვად მოვესწარი, მაგრამ ისტორიას წინ ვედარაფერი აღუდგება. ის ოქროს ასოებით დაიწერა და თქვენი მსგავსი გამყალბებელი მასში ხინჯს ვერ შეიტანს. ქართველი კაცი, ოდითგანვე, წესითა და ადათით, მიცვალებულს ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებდა და მასზე ძვირს არასოდეს იტყოდა. ეს, რაც შეეხება უბრალო მოკვდავს, თორემ ისეთ დიდ პიროვნებაზე, როგორიც სტალინი იყო, აუგის თქმა ისტორიაში, ადათ-წესებში, გინდათ ყველაფერ ფაქიზში ჩაფურთხებაა. ამდენად, თქვენ სულში აფურთხებთ არა მხოლოდ იოსებ სტალინს, არამედ მთელ მატიანეს, რომლის თვალსაწიერში თქვენ ნამდვილად ვერ აღმოჩნდებოდით (ვიმეორებ – თუნდაც თქვენი არაქართული ეთნიკური წარმომავლობის გამო). მე მგონია კარგად იცით ის ფაქტი, რომ თითქმის საუკუნეა მსოფლიოს დარგობრივ მეცნიერთა კოჰორტა სწავლობს სტალინის ფენომენს და ბოლომდე ვერ შეისწავლეს და არა მგონია როდესმე შესძლონ, რამეთუ ზეადამიანთან, გენიოსთან გვაქვს საქმე, თქვენ კი ყველაფერი ეს გსურთ გააცამტვეროთ და თქვენივე თანამემამულის (თუნდაც, გეოგრაფიულად), მსოფლიო დონის პიროვნების სახელი და ღირსება მიწასთან გაასწოროთ. რატომ?

თქვენ არ გეხსომებათ 1953 წლის 5 მარტი, როცა ამ უდიდესი პიროვნების გარდაცვალების გამო, მთელ მსოფლიოში, მისი ყველა მტერ-მოყვარე ცრემლს ღვრიდა. თქვენ ამის არგუმენტად შიშს დაასახელებთ, მაგრამ ეს ფაქტორი არ გამოგადგებათ, რადგან ნორმალურ ადამიანს არ შეიძლება მიცვალებულის ეშინოდეს. კიდევ კარგი, მოსკოვზე ხელი არ მიგიწვდებათ, თორემ მის ნეშტს **"არავიძესავით"** ამოთხრიდით...

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ზამთარში, მოსკოვში მივლინებით ვიმყოფებოდი. მეგობართან ერთად წითელ მოედანზე გავიარეთ და სტალინის საფლავთან მივედით. მიუხედავად ძლიერი ყინვისა, საფლავის ქვაზე წითელი, ხასხასა ყვავილები ეწყო. შემდეგ კი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე წავედით ნიკიტას საფლავის მოსანახულებლად. იქაურმა ყარაულმა კი გვითხრა: **"დავიღალე ამ ვიგინდარას საფლავის წმენდით, ათას უბედურებას და ნაგავს აყრიან საფლავზეო".**

აი, ნიშანდობლივი ფაქტი უბრალო ხალხის დამოკიდებულებისა ამ ადამიანების მიმართ!

ბატონო ნიკა! ნიკიტა! სავსებით გასაგები მიზეზების მე ვერ შევუდგები იოსებ სტალინის ღვაწლის განდიდებას და მიმოხილვას. ეს მსოფლიო დონის პოლიტიკოსთა საქმეა. ერთს ვიტყვი მხოლოდ: სტალინს თუნდაც ის ეყოფა უკვდავსაყოფად, რომ მთელი მსოფლიო ფაშიზმის კლანჭებისაგან იხსნა, რომლის მამამთავრები განადგურებით ემუქრებოდნენ კაცობრიობის არაარიულ ნაწილს, რომელშიც ალბათ თქვენი წინაპრებიც მოხვდებოდნენ. ისიც ფაქტია, რომ სტალინი გენიოსი **"მხედართმთავარი"** იყო და არა თქვენნაირი, ავკაცობით გამორჩეული **"მხედრიონელი"**!

როზმარ გოგენია,
ზუგდიდი

სამ საუკუნეს მოსწრებული 132 წლის ანტისა ხვიჩავა

ხშირად ამბობენ, რომ საუკუნეებს მხოლოდ ისტორია უძლებს, თუმცა გამონაკლისებიც ხდება. წალენჯიხელი ანტისა ხვიჩავა 132 წლისაა. ძალიან ბევრი აქვს მოსაყოლი, თუმცა ვერ ყვება, რადგან ვერ იხსენებს და საუბარიც უჭირს.

„1880 წელს დაიბადა. ჰყავდა ორი შვილი. ერთი მოუკვდა, ერთი – დარჩა. ახლა მარტო მე ვარ. 10 შვილიშვილი ჰყავს. კიდო შვილთაშვილები ჰყავს. ახლა ასაკიანია, მაგრამ, ისე ძლიერი ქალი იყო", – ყვება წალენჯიხაში მცხოვრები 132 წლის ქალბატონის, ანტისა ხვიჩიას შვილი, რომელსაც თავადაც უჭირს საუბარი და შვილთაშვილების ზუსტი რაოდენობა ერევა.

ძლიერი და ენერგიული ქალი ყოფილა. სანამ ჯანი მოსდევდა, საკუთარი შრომით არჩენდა ოჯახს და უვლიდა შვილიშვილებს. განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ შვილიშვილების მიმართ ჰქონდა.

„მარტო ცხოვრობდა და ყოველთვის დავდიოდით მასთან. დაგვიწყობდა საჭმელს, სასმელს. თვითონ დალევდა, ჩვენ ბავშვები ვიყავით და ცოტას ჩვენც დაგვალევინებდა-ხოლმე. ასეთი ხალისიანი ადამიანი იყო, ყველას უყვარდა. მოფერება იცოდა ბავშვის, კაცის, ყველა ადამიანის. ნარდს ვეთამაშებოდი ხოლმე. ახალგაზრდობაში ყოველთვის მიგებდა, მაგრამ ახლა ვეღარ მომიგებს, დაბერდა უკვე", – ღიმილით ამბობს შვილიშვილი.

მისი შთამომავლები ყვებიან, რომ ასაკში ქალბატონ ანტისას საყვარელი საქმიანობა ალბომში ძველი სურათების თვალიერება იყო. სამწუხაროდ, ფოტოსურათებზე გამოსახული ადამიანების ვინაობა ოჯახისთვის უცნობია, ვინაიდან მათ მხოლოდ ბებო ცნობს, ის კი დღეს ძლიერ დასუსტდა და საუბარიც უჭირს. მეხსიერებაც ღალატობს, მხოლოდ შვილსა და შვილიშვილებს ცნობს.

მაინც გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავს და სტუმრებსაც ხელის აწევით და საალერსო სიტყვების ბუტბუტით ემშვიდობება.

საინტერესოა, შესულია თუ არა ეს ინფორმაცია გინესის რეკორდების წიგნში, რადგან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით დღეს მსოფლიოში ამ ასაკის ადამიანი არ ცხოვრობს.



მსოფლიო ბანკი: „საქართველოდან ემიგრაციაში 1 058 300 ადამიანია წასული"

ცნობილია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2009 წლისათვის ემიგრაციაში საქართველოდან 1 058 300 ადამიანი იმყოფება. ეს ქვეყნის მოსახლეობის 25,1 პროცენტია.

2010 წლის მდგომარეობით, საქართველოდან ემიგრანტთა რაოდენობით პირველ ათეულში შედიან: რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ისრაელი, აშშ, გერმანია, კვიპროსი, ესპანეთი და თურქეთი. აღნიშნულ 10 ქვეყანაზე ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 88 პროცენტი მოდის, მათ შორის კი უკონკურსოდ უკავია პირველი ადგილი რუსეთს, რომელიც საქართველოს არაქართულ ხელისუფლებას ქართველი ხალხის დაუძინებელ მტრად ჰყავს შერაცხული.

ემიგრაციის მთავარი მიზეზი რომ თავის სარჩენი საშუალების გამონახვაა, ამას დღეს **„ნაციონალების"** გარდა არავინ დაობს, რადგან სწორედ ისინი ამტკიცებენ დაქცეულ საქართველოზე, რომ ქვეყნის ეკონომიკა ავაღორძინეთ და უამრავი სამუშაო ადგილი შევქმენითო.

ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციას მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებები აქვს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ევროკავშირის წევრ 5 ქვეყანაში ემიგრანტთა რაოდენობა მთლიანად ევროკავშირში ემიგრირებულთა 88 პროცენტს შეადგენს. ამ ქვეყნების ხუთეულია: საბერძნეთი, გერმანია, კვიპროსი, ესპანეთი, ლატვია.

აღნიშნული მონაცემები ანგარიშში – **„ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები"** – არის განთავსებული, რომელიც ფონდმა **„ევროპული ინიციატივა – ლიბერალურმა აკადემიამ"** მოამზადა.

გაზეთ "ГАЛ"-ის მთავარ რედაქტორს ბატონ ნუგზარ სალაყაიას – აფხაზეთი, გალი.

ძმაო ნუგზარ!

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

მიუხედავად იმისა, რომ მე შენზე საკმაო უფროსი ვარ ასაკით, მიმაჩნია, რომ ჩვენ მაინც ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ და ერთი სასიხარულო მიზეზი, ერთი გულისტკივილი, ერთნაირი მისწრაფებები გაგვაჩნია, ერთნაირად უანგაროდ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ხალხი.

უპირველესად, დიდი მადლობა მინდა მოგახსენო იმ ზრუნვისათვის, რასაც შენ იჩენ გალის მეგრული მოსახლეობისადმი, რათა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს არ დაავიწყდეთ საკუთარი ენა, არ მოწყდნენ ტრადიციულ ფესვებს.

სამწუხაროდ, შენი ეს სულისკვეთება ხშირად არ არის ხოლმე სწორად გაგებული როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოში, სადაც შენი ზრუნვა მეგრული ენის განვითარებისათვის მიაჩნიათ არა კეთილ განზრახვად, არამედ სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივებად. როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ: "ღმერთო დაგვიფარე ამგვარი მეგობრებისაგან, მტრებს ჩვენ თვითონ მივხედავთ!"

ზოგიერთ არაშორსმხედველ ადამიანს მიაჩნია, რომ აფხაზი ხალხის ზრუნვა მეგრული ენისადმი ფარული მტრობის ელემენტებს ატარებს, მაგრამ არ უფიქრდებიან იმას, რომ ამ ზრუნვას საფუძვლად უდევს აფხაზი ადამიანის ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება მეგრული ენისა და ფენომენისადმი, რომ ეს დამოკიდებულება სისხლისმიერი მეხსიერებაა, რადგან ძნელია მოძებნო აფხაზი, რომელსაც ძარღვებში მეგრული სისხლი არ უჩქეფს, ისევე, როგორც ძნელია მეგრელის მოძებნა, რომელსაც არ ჰყავს აფხაზი ნათესავი. სწორედ მეგრული ფენომენი გახლავთ დღეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გადარჩენის მაშველი რგოლი, რათა ეს ორივე ერი არ ჩაიხრჩოს გლობალიზაციის მოძალებულ ოკეანეში.

კაცობას გეფიცები, ძალიან მენატრება აფხაზური სუფრა, აჯიკით შეზავებული შემწვარი დედალი, ერჯის მოხარშული ხორცი და ჭიქაში მზეჩავარდნილი ალისფერი "ლიხნი". მენატრება ის სუფრა, სადაც მე და შენ ერთმანეთს სადღეგრძელოებით "ვურჩევდით საქმეებს", სუფრის წევრები კი გაოგნებულები შემოგვცქეროდნენ და ვერ გაეგოთ, ვჩხუბობდით თუ ერთმანეთს ვეფერებოდით, ვტიროდით თუ ვიცინოდით (დიდმა სიხარულმა ცრემლიც იცის ხოლმე). განა ამის შემდეგ ჩვენი დიდი სირცხვილი არ იქნება, რომ ჩვენ ვინმეს შესარიგებლები გავხდეთ?

ჩვენზე გულიანად ვინ დაიტირებს იმ ჩვენს მიცვალებულებს, რომლებიც ჩვენივე ნასროლი ტყვიით გულგანგმირულები წვანან საფლავებში? ჩვენზე უკეთესად ვინ განიკითხავს მტყუან-მართალს აფხაზებსა და ქართველებს შორის? მე, მირჩევნია აფხაზი მეჩხუბოს, ვიდრე სხვა ეროვნებისა და რჯულის ადამიანი მომეფეროს, რადგან აფხაზთან კამათში უფრო დავადგენ ჭეშმარიტებას, ვიდრე იმ ადამიანის ლაქუცით, რომელიც მხოლოდ იმიტომ მეფერება, რომ კიდევ რაღაც წამგლიჯოს!

ამიტომ, ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს, თუნდაც ამ დიალოგმა მყისიერად არ მიგვიყვანოს სასურველ შედეგამდე, ჩვენ უნდა დავსხდეთ ერთმანეთის პირისპირ მოლაპარაკების მაგიდასთან, ყოველგვარი შუამავლებისა და მედიატორების გარეშე.

ჩვენი წინაპრები სწორედ ამ გზით პოულობდნენ ყოველთვის ერთმანეთთან მისასვლელ გზებს.

სწორედ ეს გახლავთ ის სახალხო დიპლომატია, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ტაძრამდე!

ძმაო ნუგზარ, ნუ დავკარგავთ ერთმანეთს, ჩვენ ერთმანეთზე უკეთესს ვერასდროს ვერავის ვერ შევიძენთ!

ეს ჩემი სიტყვები არ არის, ეს ჩვენი წინაპრების სიტყვებია და მე მას ხშირად ვიმეორებ, რათა არ დამავიწყდეს და გულში სვირინგად ამოვაჭრა ჩემს შვილებსა, შვილისშვილებს და მათ მომავალ თაობას.

შენი ძმა და მეგობარი,

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისი"- და "აია"-ს აკადემიების
ნამდვილი წევრი

ფარული წინააღმდეგობით ჩემი მიგნებების ჭეშმარიტება უფრო იკვეთება

ზოგი ჭირი მარგებელიაო, – უთქვამს ჩვენს უძველეს წინაპარს. ჭირი, მარგებელი და სასიამოვნო როგორ შეიძლება იყოს, მაგრამ ჭირს, განსაცდელს ღმერთი იმიტომ გვიგზავნის, რომ გამოცდილება დავაგროვოთ და ჭეშმარიტებას შევწვდეთ. ამდენადაა ჭირი მარგებელი.

უზენაესის ნებით ჩავწვდი რა ჩვენი დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) წარმოშობის ჭეშმარიტებას, ფარდა აეხადა მანამდე დოგმად მიჩნეულ ცრუ დებულებებს და, ბუნებრივია, სიცრუის ნიადაგზე აგებულ დოგმებს ნგრევა ელის.

ვერ გავამტყუნებ და არც შეიძლება მოსთხოვო ყველას ღვთიურობა და რაინდულობა, თუ თვითონ არ არის მოწოდებული ამისკენ. ამიტომ ნებით, თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომების (მით უმეტეს, როცა აბსოლუტურად უცდომელი ადამიანთაგან არავინაა) ჯიქურ, პირში მიხლა, რომ უმტკივნეულოდ და მშვიდად აიტანოს, ღვთიური სული უნდა ედგას ადამიანს სხეულში და ასეთ დიპლომატიურობას მოკლებული პირდაპირობით ვიგებ, თუ ვაგებ, მაინც პირდაპირობა ვარჩიე. მაგრამ რაკი ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება, ჩემი მიგნებების დაბლოკვა (მოხსენებების გაკეთების აკრძალვა სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში), ფარული წინააღმდეგობები და, ამ მიზნით, მომეცნიერო სუბიექტთა გამოყენება, უფრო და უფრო მეტ სტიმულს მაძლევს და დიდება მის სახელს, ღმერთი, ისევ და ისევ, მეტ არგუმენტებს მიგზავნის ჩემი მიგნებების ჭეშმარიტების განსამტკიცებლად.

ანბანური დამწერლობის წარმოშობის მეცნიერებაში ცნობილი წყაროების საფუძველზე, დღემდე გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, ჩემს მიერ მოძიებული არგუმენტების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ე.წ. მხედრული და ასომთავრული არათუ გადმოღებულია რომელიღაც უცხოური დამწერლობიდან (მაგრამ რომელი დამწერლობა იქნა გამოყენებული პროტოტიპად, ამაზე მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს), არამედ, ა. კიფიშინის სიტყვებით, რომ ვთქვათ, წარმოადგენს იმ დედა ხეს, რომლის ტანიდან შემდგომ დანარჩენი 13 დამწერლობის ტოტები ამოიყარა.

ეს ყველამ იცის სამეცნიერო წრეებში, მაგრამ არც არავინ გამომხმაურებია და არც არავინ შემდავებია. ნამდვილი მეცნიერი ვერ უარყოფს ჭეშმარიტებას, მაგრამ უნებლიედ დაშვებული, თუ უგუნურ პოლიტიკას მორგებული შეცდომების გამოაშკარავებისგან დაცვისა და ჭეშმარიტების დროებით შენიღბვის მიზნით, მომეცნიერო, ანუ მოჩვენებითი ილუზიებით **„მეცნიერებად“** ქცეულ სუბიექტებს იყენებენ ჭეშმარიტი აზრის საწინააღმდეგოდ, ხოლო თვითონ, მიუხედავად სამეცნიერო დაწესებულებების წამყვან მეცნიერებისადმი და განათლების სამინისტროსადმი მრავალჯერადი მიმართვისა, ამასთან, პატრიარქის მოთხოვნისა, დუმან და **ჯიუტად აგრძელებენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ცრუ დოგმებისა და საქართველოს ყალბი ისტორიის სწავლებას.**

ვფიქრობთ, ამ მიზნით მიმიწვია ინტერვიუს ასაღებად რადიო **„ობიექტივი“**-ს წამყვანმა ალეკო ცინცაძემ 2011 წლის 9 ნოემბერს სტუდიაში. ჩემი პასუხები კითხვებზე იყო კრიტიკული ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულებების მიმართ და აღვნიშნე, რომ მიუტევებელ დუმილსა და უყურადღებობას ჩემი ღია წერილების მიმართ, გავიგე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიტენტი აკად. გამყრელიძე იმით ამართლებს, რომ რადგან სამეცნიერო ტიტულები არა მაქვს, საკითხებში საფუძვლიანად ჩახედული არ ვიყო, თუმცა ამას ოფიციალურად არ აცხადებს; აღვნიშნე, რომ ტიტულოვან ლინგვისტებს, შეიძლება, ჩემზე ბევრად მეტი დამწერლობები ჰქონდეთ შესწავლილი და იცოდნენ მსგავსება და განსხვავება მათ ასო ნიშნებს შორის, მაგრამ პალეოგრაფიისა და მრავალი ენის ცოდნა არ არის საკმარისი ე.წ. ქართული დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) საფუძვლიანი შესწავლისათვის, აუცილებელია ე.წ. მეგრული ენისა და გრაფიკის ენის სიღრმისეული ცოდნა, რაც, შეიძლება, ტიტულოვანმა მეცნიერებმა საშუალო სკოლის მოსწავლის დონეზეც არ იცოდნენ, რადგან ეს მეცნიერება მათს სასწავლო პროგრამაში არ შედის, ხოლო მე, როგორც ინჟინერს, ამ მხრივ, დიდი უპირატესობა მაქვს-მეთქი.

მაქსიმალურად გამოვიყენეთ ჩვენთვის დათმობილი 45 წუთი, მაგრამ ეს სიტყვები, რომელსაც დასჭირდა, თურმე, 8 წუთი, ამოიღეს ჩვენი საუბრიდან, რადგან პატივცემულ მეცნიერთა ყველაზე სუსტ და მტკივნეულ ადგილს შევეხე.

ამის გამო, მკაცრად გააკრიტიკა და შეუტია ა. ცინცაძეს ენათმეცნიერმა ბ-ნმა მურთაზ ჯანჯღავამ 2012 წლის 15 იანვარს, თუ 15 თებერვლის გადაცემის მიმდინარეობისას, რაზეც ცინცაძე დაპირდა ბ-ნ მ. ჯანჯღავას ამოღებულის აღდგენას, მაგრამ მან თავის სტუმარს (გვარად წულაიას) უთხრა: **„ტექნიკური მიზეზების გამო ამოვარდაო 8 წუთი, მაგრამ მისი აღდგენა ვერ გადაარჩენს მათი იდეას“**-ო. სწორედ ჭეშმარიტ მეცნიერთათვის შეუფერებელი ქმედებები ვერ გადაარჩენს და ვერ დამალავს სიყალბეს, რამეთუ **„არ არსებობს დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს და საიდუმლო, რომ არ გაცხადდეს“.**

რა იდეა გვაქვს და რაზე ვიჭყლიტავთ ტვინს ჩვენ და ჩვენი თანამოაზრენი?

ჩემს წიგნში **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** დაუნდობლად გავაკრიტიკე ქართველი მეცნიერები ტენდენციურობისა და იბერიული (ე.წ. მეგრული) მონაპოვრების იგნორირების გამო, მიუხედავად იმისა, თანამოაზრენი გულწრფელად მირჩევდნენ თავი შემეკავებინა სხვათა კრიტიკისაგან, და ეს შეგნებულად გავაკეთე, რათა ჩემს მიმართაც დაუნდობელნი ყოფილიყვნენ, რადგან, თუნდაც, უნებლიე შეცდომების, ჭეშმარიტების რანგში, საზოგადოებისთვის მიწოდება დიდად საზიანოა. თანაც მივუთითე, მხოლოდ შეცდომების დანახვა და, არგუმენტირების გარეშე, უარყოფის ნიშნად ბზიკნაკბენ თხასავით უხმოდ თავის კანტური არ მაკმაყოფილებს-მეთქი. მაგრამ არავინ ამოიღო ხმა, მიუხედავად იმისა, კარგად იცნობენ ჩემს ნაშრომებს.

ბატონი ა. ცინცაძე თურმე იცნობს ჩემს აღნიშნულ ნაშრომს (ამაზე თვითონ მითხრა) და, ალბათ, ამიტომ მიმიწვია სტუდიაში, მაგრამ არ ვიცი როგორ იცნობს მას, როცა **„ამოვარდნილი ტექსტის აღდგენა ვერ გადაარჩენს მათ იდეას“**-ო, რომ თქვა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საერთო სალიტერატურო ენა დღეს წოდებული ქართულად, მემკვიდრეა კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, დღეს მეგრულად წოდებული, ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენისა, მაგრამ ზოგ **„ქართველს“** ურჩევნია ქართველები იყოს **„გაურკვეველი წარმომავლობის ერი“**, ან სომეხი იყოს ქართველთა წინაპარი, ოღონდ არ ითქვას, რომ ლეგენდარულ წინაპართა პატივდიდება იბერებს (ე.წ. მეგრელთ) ეკუთვნის, ამიტომ ქართველი ერისა და ქართული ენის ღირსების წარმოჩენას უსაფუძვლო და ყურით მოთრეული არგუმენტებით ცდილობენ. ვისაც მცირეოდენი წარმოდგენა მაინც აქვს მეტყველებისა და ენის წარმოშობაზე, ცინცაძესეული ჰემატრიული მეთოდებით ლექსიკის შექმნას ვერ ირწმუნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰემატრიით დღეს ბევრია გატაცებული. ჰემატრიული მოძღვრების თანახმად, ამა თუ იმ ენაში არსებულ ბგერებს უზენაესის მიერ დაუდგინდათ აღმნიშვნელი ასონიშნები, მიენიჭათ ანბანთ მწკრივში ესა თუ ის რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც წმინდანების მიერ მიეწოდა საზოგადებას. მათი აზრით, მხოლოდ ამ ასონიშნებშია (ანბანშია) აბსოლუტური ჭეშმარიტება და სიბრძნე, ანბანის შექმნის ხანგრძლივობა და სხვა ღირებულებები, ყველაფერი ამაშია ჩადებული. ე.ი. ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათი აზრით, წარმოადგენს წმინდანების მიერ შექმნილ სიტყვებს, რომლებსაც მათ მიერ, შექმნის მომენტიდან, მიენიჭათ რიცხვებით გამაგრებული გარკვეული მნიშვნელობანი.

ცხადია, უზენაესის ნების გარეშე არაფერი ხდება. ბუნებაში არსებული ბგერები ეს იქნება სამეტყველო, ცხოველთა, თუ უსულო საგანთა მიერ გაღებულ-გამოცემული, უზენაესის სურვილისა და ნების შედეგია. მაგრამ ამ ბგერათა აღქმის უნარი მიენიჭა თავიდანვე (დასაბამიდანვე), სწორედ, უზენაესის ნებით ადამიანთა საზოგადოებას და არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, რომელსაც **„შემდგომ უნდა ესწავლებინა დანარჩენებისათვის როგორ აღექვათ ბგერები“.**

როგორც ცნობილია და მეცნიერული არგუმენტებითაც დასტურდება, კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობა ჩამოყალიბდა ბუნებრივად, ხატოვანი ნიშნების თანდათანობითი ტრასფორმაციის შედეგად და, სარწმუნოა, რომ იგი შექმნა ბუნებამ, იგივე უზენაესმა შემოქმედმა.

მრავალი არგუმენტით დასტურდება, რომ ყველა სხვა დამწერლობისგან განსხვავებით, ე.წ. ქართულ ასომთავრულ ანბანს მიენიჭა პირველად, საკმაოდ გონივრული მოტივაციით (რა თქმა უნდა, ესეც ღვთის ნებით) ანბანთ მწკრივში რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც, ისევ ღვთის ნებით, მეცნიერული არგუმენტებით მტკიცდება. სხვა არცერთი დამწერლობის ასონიშნები არ არის მოტივირებულად დალაგებული ანბანთ მწკრივში და, შესაბამისად, არც რიცხვითი მნიშვნელობებია მინიჭებული ასონიშნებისათვის, არც ქართულში და არც სხვა ენაში, იმ მიზნით, რომ სიტყვაში შემავალი ბგერების რიცხვით მნიშვნელობათა ჯამის გატოლებით შეექმნათ ე.წ. ქართული ენის, თუ სხვა ენის ღირსებისა და უნიკალურობის დამადასტურებელი სიტყვები.

ცხადია, ე.წ. ქართული ასომთავრული არ შეუქმნიათ რიგით მოქალაქეებს, არამედ შექმნილია მაღალგანვითარებული, ზუსტ მეცნიერებებს (მათემატიკა, ასტრონომია, გრაფიკის ენა) და ასტროლოგიას ნაზიარები, საკმაოდ დიდი ცოდნის მფლობელი ადამიანის, თუ ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომლებმაც ბუნებრივად, ანუ ღვთიური კანონზომიერებებით ჩამოყალიბებული ე.წ. მხედრულ ანბანის არსებობის წყალობით მიიღეს სათანადო ცოდნა და მათი წმინდანებად შერაცხვა ჩვენს დროში შეიძლება, მაგრამ არ ვიცი რამდენად კანონზომიერია. ხოლო პირველ ანბანურ დამწერლობას, ე.წ. მხედრულს, ვერ შექმნიდა კონკრეტული ადამიანი, თუნდაც წმინდანი, თუ წმინდანთა ჯგუფი, რადგან კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არაფერი შეუქმნია მსგავსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შესძლებდა პირველ ანბანურ დამწერლობასთან მიახლოებას (ეს, მით უმეტეს, იმ ხანად შეუძლებელი იყო), რომლის გარეშე ადამიანი თავისი განვითარებით ქვის ხანის დონეს ვერ გასცილდებოდა.

ვიმეორებ, არც უზენაესის მიერ შექმნილ ე.წ. მხედრულ დამწერლობას ჰქონდა ჩამოყალიბებული **ანბანთ მწკრივი** და მინიჭებული რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა. ეს შეუძლებელი იყო, რადგან ე.წ. მხედრული ანბანის წინაპარი ხატოვანი ნიშნები იმ ფიზიკურ რეალობათა გამოსახულებებია, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანია უზენაესისათვის.

დავუშვათ და, მართლაც, არა განსწავლულმა ადამიანებმა (თუმცა, განსწავლაც ღვთის ნებით და ხელდასმით ხდება), არამედ ღვთისგან ხელდასმულმა წმინდანებმა შექმნეს ე.წ. ქართული ასომთავრული და მიანიჭეს ასონიშნებს ანბანთ მწკრივში შესაბამისი რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა, რომ შემდგომ ამ რიგითი ნომრებისა და რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით შეექმნათ აბსოლუტურად ზუსტი და სტრუქტურულად უცვლელი სიტყვები, მაშინ წინააღმდეგობებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილი დებულება, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანის გონებითაც ადვილი შესამეცნებელია, წინააღმდეგობრივია.

ეს წინააღმდეგობები ვერ დაინახეს, თუ არ უნდათ დაინახონ, ჰემატრიით გატაცებულ **„მეცნიერებს“**, ნებსით თუ უნებლიედ, გამოუდით ჭეშმარიტების უგულვებელყოფა, იბერიის არსებობის იგნორირება და დამალვა, გაუმართლებელი და, ალბათ, გაუცნობიერებელი, დამღუპველი პოლიტიკის გავლენით, და ე.წ. ქართული ენის უნიკალურობისა და, კაცობრიობის ისტორიაში, პირველადობის მტკიცებას ჰემატრიული მეთოდებით ცდილობენ, როცა მის ჭეშმარიტებაში თვითონ არ არიან დარწმუნებული და სხვა ვერავითარი არგუმენტი ვერ მოჰყავთ, გარდა სიტყვათა რიცხობრივი თანატოლობის მოშველიებისა, ხოლო ე.წ. ქართული ენის უნიკალურობა და დასაბამიერობა მტკიცდება უკვე სრულიად მარტივი მეცნიერული არგუმენტებით.

ქრისტე – მესია, ღვთიური თვისებების მატარებელი და განმღრთობილი ადამიანი რომ იყო, მისი თვისებებით, ქმედებებითა და ცხოვრების წესით, ჰემატრიის გამოყენების გარეშეც, ადვილად დასტურდება. როცა ჯვარს აცვეს იგი, ამ ენით აუწერელი წამების ჟამს უზენაეს შემოქმედს სთხოვა: **„აპატიე ღმერთო, რამეთუ არ იციან, რასაც იქმიან“**. ამას ღმერთის, თუ გაღმერთებული ადამიანის გარდა, ვერავინ იტყოდა და ღია კარების მტვრევა არაა საჭირო. ეს უფრო ჰგავს საზოგადოების დარწმუნების მცდელობას იმაში, რომ, რაც მეცნიერულია, ყველაფერი ნახევრად მაინც მცდარია, ხოლო იმ აზრებს, რომლებიც, მართლაც, ჭეშმარიტებაა, მე – სულიწმინდის მადლით გონებაგასხივოსნებული და სულიერად ამაღლებული პიროვნება ვადასტურებ მტკიცებების გარეშე და პატივი მეცითო.

თუ ოდესმე ვინმემ სცადა ჰემატრიული მეთოდებით შეექმნა ზუსტი და სულიერი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები, მას არ გაუთვალისწინებია ბუნებრივად, ანუ ღვთის ნებით ჩამოყალიბებული სიტყვების საწინააღმდეგო შესაძლებლობა, რადგან მცირეოდენი წარმატებით მოჩვენებით ხიბლში იყო ჩავარდნილი და მას სულიერებასთან და ჭეშმარიტებასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

შეიძლება, ამიტომ შეარქვეს ჩვენს მაცხოვარს სხვადახვა ენაზე განსხვავებული ბგერითი შედგენილობის სახელი: ქართულად – ქრისტე, რუსულად – ხრისტოს, იაპონურად – ქირისოტო და ა.შ. მაშინ, როდესაც სახელი და წოდება სხვადასხვა ენაზე ბგერითი შემადგენლობით არ უნდა იცვლებოდეს.

ვფიქრობთ, ბერძნული – **ქრისტოს** იბერებმა **ქრისტე**-თი იმიტომ შეცვალეს, რომ ანბანთ მწკრივში თავისი ადგილი მიჩნილი და რიცხვითი მნიშვნელობა მინიჭებული ასონიშანთა რიცხვების ჯამი იბერიულ **ღორონთ**-ის რიცხვით მნიშვნელობას გატოლებოდა. ე.ი.

იბერიული **ღორონთ** (ღმერთი) = 25+16+19+16+14+9=99= ქრისტე = 24+19+10+20+21+5=99

მაგრამ ამ სიტყვის (ქრისტე) ავტორს, ვიმეორებ, არ გაუთვალიწინებია საწინააღმდეგოს შესაძლებლობა. ასე რომ, თუ ვიხელმძღვანელებთ ჰემატრიულ მეცნიერებათა ქართველი მამამთავრის – ალეკო ცინცაძის ჰემატრიული მეთოდებით, სინამდვილეში ასე არ უნდა იყოს, მაგრამ მისთვის ძალზე არასასურველ წინააღმდეგობას ვაწყდებით, ანუ ვღებულობთ ბევრ სინამდვილისათვის შეუფერებელ მკრეხელურ შედეგებსაც, რომლების არ დანახვა და თავის არიდება არანაკლებ მკრეხელურია, ვიდრე არა ობიექტურობა და ტენდენციურობა.

მაგალითად (ღმერთო მაპატიე და მაპატიე მკითხველო უარყოფითი სიტყვების ხმარება შეუფერებელ ადგილას).

ქრისტე (99) = ცოომილი (99) = სიბრიყვეა (99);

იესო (51) ქრისტე (99) = 150 = სირცხვილია;

კეთილი (57) ღმერთი (81) = 138= აა, ეს სიძულვილია;

ადრე, ორი-სამი საუკუნის წინათ **ქართველი** იწოდებოდა **ქართუელად**, **ქრისტე** კი – ქრისტß -თი.

ქართუელი = 102 = ქრისტß = უგუნურ= სისაძაგლე;

ბოროტი(84) ქართველი (86) = 170 = სრულყოფილი;

კეთილი (57) ქართველი (86) = 143 = გიჟი(41) – უვარგისია (102);

ჰემატრიის მიმდევართა აზრით, ჰემატრია სულის მეცნიერებაა. ქრისტეს რიცხვი – 99, ნიშნავს სულიერების 125 საფეხურდან რომელ საფეხურზე იმყოფება იგი და რამდენი ეგოისტური თვისება აქვს გამოსწორებული. მაგრამ გაღმერთებული ადამიანი – ქრისტე 2000 წლის განმავლობაში შესძლებდა, ან შეძლებს დარჩენილი 26 საფეხურის გადალახვას და ჰემატრისტების აზრის ჭეშმარიტების შემთხვევაში, საჭიროა **ქრისტე** სხვა ბგერითი შემადგენლობის სიტყვით (რიცხვითი მნიშვნელობით 125-ის ტოლი) შეიცვალოს. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ჰემატრისტების თეორიას თუ დავეყრდნობით, ქართული **ღმერთი** (81) უფრო დაბალ საფეხურზე მდგარა, ვიდრე **შტერი** (82).

და ბოლოს ჰემატრია = 106 = სიცრუა, ხოლო ალეკო (45) ცინცაძე (118) = 163 = გიჟუა (54) – ფ...სტია (109), თუმცა, ვიმეორებ, მთლად ასე არ უნდა იყოს.

ეს წერილი იმ მიზნითაც დაიწერა, რომ იქნებ დააფიქროს უნებლიედ მცდარ გზაზე დამდგარი პიროვნებები და აბსურდულზე კი არა, სასარგებლო საქმეებზე ხარჯონ დრო და ენერგია. ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მეცნიერებასთან ჭიდილისას კი დიდი სიფრთხილეა საჭირო. დაუფიქრებლად, საფუძვლიანად გაცნობიერების გარეშე, მოჩვენებითი სიკეთის მიღება, ხომ შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს?

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“
აკადემიების წევრი

მონატრება

“პოეტ ვორექ რამაზ კუპრა“

ნაჩუქარი ლექსების კრებულს – **“ლაზონა დო მარგალონა”** – ასე წავაწერე: **მისახსოვრა რამაზ კუპრავამ** (უმცროსმა).

შენი მეგრული ლექსების კრებული და უმცროსი რამაზ (აიეტი) კუპრავაც, სამწუხაროდ, შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გავიცანი, რამაზ!

სევდანარევი სიხარული ჩამოგვიტანა სამეგრელოდან რამაზიკომ. **“ლაზონა დო მარგალონა”** დღემდე ჩემს გვერდითაა და რამდენჯერაც ლექსებს ვუბრუნდები, იმდენჯერ შენთან საუბარი მინდება!.. ფურცლებშორისებიდან მესმის შენი ხმის ტემბრი, **“ჰამო ხუმა”**-თი, თითქოს შენ მიკითხავ, მატკბობს და ფესვებთან მაბრუნებს **“ონწეში ნინა!”**

...ვარდფურცლობის ჟამი დგას, რამაზ, მაისია!

მისი შემობრძანების პირველი დღე – შენი დაბადების დღე იყო!.. ტაძარში, წირვაზე ვიგრძენი, რომ იმ დღეს, ჩვენი სულიერი კავშირი შედგა! კვირაცხოვლობას, უფალს, შენი ფაქიზი სული შევავედრე, კელაპტრის შუქზე ვდუდუნებდი ლოცვას-ხსოვნისას. ერთად გვენატრებოდა დაკარგული სამკვიდრო, ცა – აფხაზური, ჩვენი ულამაზესი ქალაქი...

“სოხუმი ვარე პალმა-დე-მალიორკა, სოხუმი რე ჩქინი ნარღი მონკა” – სწორედ ამ სიმძიმის ტარება გახდა ოჯახთან: საფიცარ ვაუებთან, მეუღლესთან, ნათესავ-ახლობელ-მეგობრებთან შენი განშორების მიზეზი. მანცხვარკარმა ჩაგიკრა გულში, რომელსაც შენ ასე ხშირად ახსენებ ლექსებში: **“გონწუ კიდირი, ქომხუტოლე, რთხინქ ბირგულმოდრიკაფილი”...**

ან კიდევ: **“თავრე კარაკანო ვორწყექ, სო მიტახნა სასაფულეს...”**

ღრმა ტკივილის მიუხედავად შენს ლექსებში არსად ჩანს უიმედობა, ფიქრი იმაზე, რომ შესაძლებელია ლაზონას ბედი აფხაზეთმაც გაიზიაროს (?). იმედით სავსე სტრიქონებია: **“მუჟამ იბდათ, მუჟამ იბდათ, ჩქი სოხუმშა, დო გაგრაშა?”** – სვამ კითხვას, რომელზე პასუხი, სამწუხაროდ, შენს ქვეყანას, დღიდან აფხაზეთის დაკარგვისა, არ ჰქონია!

აფხაზეთში დაბრუნებამდე, შენს ოდაბადე – მარგალონაში – შენი აიეტი (რამაზიკო) და ქუჯი ივლიან რამაზ, ნიშნად შენი გაგრძელებული სიცოცხლისა. შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იცოცხლებს **“ჩქინ უჰამაშ, უქექაშ, უტომბაშ, უსქვამაშ მარგალურ ნინა”**-ზე შექმნილი შენი მეგრული პოეზია, ქართულ ლექსებთან ერთად.

მინდა იცოდე, რომ შენს საყვარელ გაზეთ **“ილორს”** დღემდე არ შეუწყვეტია შენი ლექსების ბეჭდვა (დიდი ინტერესია მასზე ინტერნეტსივრცეშიც).

“ფსუალეფსი ქიჩანუა, ქოფურინუნქ სი ჟი ცაშა” – წერ ერთგან. აფხაზეთის ცას შეხიზნული, გვჯერა, იქიდან გვიერთებ ხმას, როდესაც ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ურთიერთობისათვის ლოცვას აღვავლენთ, რამაზ!

ღმერთო, გაამთლიანე საქართველო!

სოხუმელი მეგობრების სახელით,

სვეტლანა კვიკვინია

ვამათირე შხვა ნინაშა

ართ მიღუნა ოდაბადე,
ართი შურობუმუშ ნინა,
ქობღურდათინ, ქიგმაშინან
– ნინას ოკო მიკოჯინა...
ამდღა გოლანძღირი ორე
ნინა ჩქინი ჯვეშშე-ჯვეში,
წიგნი, ჭარილ მარგალურო
მუდგა გორენ, სოთინ ვეში...
მუ ღორონთიქ გუმაჭყორეს,
შურო ვავორწყეთო თესი,
ჭიეთ-ჭიეთ მუშ ნინაშა
მარგალს გური გეუოთესი?!
ჩქინ სანარღოთ, ლაბანიძე
– თე ქიანას ხვალე ვარე,
გურს ვეგიოხანტ მარგალური
ოქორთუეშ მაჭარალემს...
კოლხურ ნინა ვაყვილენა,
ქიანას მაჟრათ დორთინაშა,
მარგალური ვამათირე,
ვამათირე შხვა ნინაშა!..

რამაზ კუპრა

ევროკავშირის ვიზის მიღებაზე საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მეტ უარს ეუბნებიან

ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის მიღებაზე საქართველოს რეგიონში ყველაზე მაღალი უარის მაჩვენებელი აქვს. ეს სასტუმრო **„თბილისი Marriott“**-ში ფონდ **„ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემიის“** კვლევის **–„ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები“** – ანგარიშის პრეზენტაციისას ითქვა.

პროექტი ფონდ **„ღია საზოგადოება – საქართველოს“** მხარდაჭერით განხორციელდა და ის ერთწლიანი კვლევის ანგარიში წარმოადგენს, რომლის მიზანს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2011 წლის 1 მარტს ამოქმედებული ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებების იმპლემენტაციის პროცესის მიმოხილვაა.

„ჩვენი ამოცანა გახლდათ პროგრესის ჩვენება, თუ რა შეიცვალა დადებითისკენ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, მაგრამ, ასევე, საკმაოდ დეტალურად გავამახვილეთ ყურადღება გამოწვევებზე, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ მომავალში მობილურობის სფეროში უფრო ეფექტური თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია სწორედ პრობლემების ერთობლივი გადაჭრა. ვიზის ფასილიტაცია სავიზო პროცედურების გამარტივებას ნიშნავს. იგი რამდენიმე ძირითად პუნქტს მოიცავს. ეს არის გამგზავრების მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტის გამარტივება. ერთი დოკუმენტია საჭირო იმისთვის, რომ მიზანი დადასტურებული იყოს. ასევე, სავიზო განაცხადის განხილვის ვადა, რომელიც 10 დღემდე შემცირდა, სავიზო მოსაკრებლის 60-დან 35 ევრომდე შემცირება, 12 კატეგორიისთვის კი საერთოდ გაუქმება, ასევე, ვიზის ხანგრძლივობა. საქართველოს მოქალაქეების ზოგიერთ კატეგორიას შეუძლია, 5 წლამდე მოქმედების ვიზა აიღოს. რაც შეეხება გამოწვევებს, მართალია, მგზავრობის მიზნის დამადასტურებელი მხოლოდ ერთი დოკუმენტია საჭირო, მაგრამ დამატებითი დოკუმენტების ნუსხა ჰარმონიზებული არ არის. ყველა საკონსულოს თავისი ფართო ნუსხა აქვს. პრობლემა ისაა, რომ ინფორმაცია იმის თაობაზე, რა ტიპის დოკუმენტაციაა საჭირო სხვადასხვა ვიზისთვის, სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ასევე, პრობლემაა ის, რომ მოქალაქეებს ძალიან ხანგრძლივად უწევთ ლოდინი, ვიდრე აპლიკაციას შეიტანენ. საქმე ისაა, რომ თვითონ ევროკავშირს აქვს შიდა სავიზო კოდექსი, რომელიც მათ სავიზო პოლიტიკას არეგულირებს. კოდექსში წერია, რომ მოლოდინის ვადა 2 კვირა უნდა იყოს. აქ ვხედავთ გამოწვევებს. გარდა ამისა, სავიზო კოდექსით რეგულირებულია მომსახურების ინფრასტრუქტურის გამარტივება. იმისთვის, რომ ადამიანები საათების განმავლობაში არ ელოდებოდნენ პასუხს, მოწესრიგებული უნდა იყოს მოსაცდელები, მომსახურების ენა უნდა იყოს ქართული, მათ შორის, დოკუმენტაციის შევსების ენა. კიდევ ერთ ძალიან პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ის, რომ სავიზო განაცხადზე უარის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია მთელ რეგიონში და 15%-დან 17%-მდე მერყეობს. 3% ითვლება ნორმად, რომ ევროკავშირს აქვს კარგი ურთიერთობა ამა თუ იმ ქვეყანასთან. რეგიონის სხვა ქვეყნებს უარის მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები აქვთ. რუსეთსა და ბელარუსს 1% აქვთ მაჩვენებელი. მოლდოვასა და უკრაინას 3%-დან 6%-მდე. სომხეთს ჩვენ მერე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს და 10%-ს შეადგენს. ეს ისეთი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ და ევროკავშირმა ერთობლივად უნდა განიხილოს და მიზეზების დადგენა უნდა მოხდეს“, – განაცხადა **„ლიბერალური აკადემია – თბილისის“** დირექტორმა ქეთევან ციხელაშვილმა.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული პრობლემების მიზეზებს, ციხელაშვილის აზრით, ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოდან მიგრაციის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, მათ შორის, არალეგალი მიგრანტების.

„2009 წელს ამ მონაცემებით მე-6 ადგილზე ვიყავით. ახლა კი მე-10-ზე ვართ. შეიძლება, ეს იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, მაგრამ არის სხვა ფაქტორიც – ევროკავშირის ქვეყნების საემიგრაციო პოლიტიკა. ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ეფექტის განხორციელება არის წინაპირობა იმისა, რომ ჩვენ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე გადავიდეთ“,– განაცხადა ციხელაშვილმა.

ნოვოსიბირსკის წმიდა გიორგის ეკლესია პირველი ქართული ტაძარი იქნება სიმბირში!

“ქართველებმა ახალ ადგილზე ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ სამშობლოსთან კავშირი არ დაკარგონ. ისტორიულ სამშობლოსაც უნდა დაეხმარონ!”

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ნოვოსიბირსკში მალე წმიდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაიწყება. გთავაზობთ ინტერვიუს ამ კეთილი წამოწყების ინიციატორთან – **„საქართველოს ხალხთა სათვისტომოს“** ნოვოსიბირსკის ორგანიზაციის პრეზიდენტთან, სოციოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ **მერაბ ტოსტიაშვილთან.**

– ბატონო მერაბ, როგორ მოხვდით ეს კახელი კაცი შორეულ ციმბირში?

– საბჭოთა დროში ასეთი რამ ხშირად ხდებოდა: ჯარში ყოფნა, მერე კვების მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტში სწავლა, დისერტაცია მოსკოვში დავიცავი. დღეს ორ ორგანიზაციაში მუშაობას ვუთავსებ – სათვისტომოსა და ნოვოსიბირსკის სამაშველო სამსახურში, რომლის ხელმძღვანელი ვარ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან. ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ ხშირად მაინც პირადად გავდივარ საგანგებო შემთხვევებზე. დრო არ მყოფნის, მაგრამ მთავარი ხომ მონდომებაა!

– მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დატვირთული ხართ, მაინც გამონახეთ დრო ამ სიშორიდან ისტორიულ სამშობლოში ჩამოსასვლელად. რამ გიბიძგათ ამისკენ?

– იდეამ... დიდი ხანია, **„მღრღნიდა“** ნოვოსიბირსკში ქართული ეკლესიის აშენების სურვილი. ამ იდეას მაშინვე გამოუჩნდნენ მომხრეები. ის ახლობელი აღმოჩნდა საქართველოს მოწყვეტილი ყველა ადამიანისათვის. უეცრად მწვავედ ვიგრძენით მოთხოვნილება, სულიერებისათვის მიგვემართა და ყველაფერი გაგვეკეთებინა სამშობლოსთან კავშირის შესანარჩუნებლად. აუცილებლად გვჭირდება ეკლესია – ნოვოსიბირსკში ხომ ათი ათასამდე ქართველი, უფრო ზუსტად, საქართველოდან ჩამოსული ცხოვრობს, მათ შორის, ჩვენი ძმები ოსები და აფხაზებიც. თუმცა იდეის განხორციელების წამოწყება რთული აღმოჩნდა...

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენს სათვისტომოს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან და არც სურს, რომ ჰქონდეს! ორგანიზაცია მთლად ახალგაზრდაა, სულ ორი წლის, მაგრამ ჩვილი ასაკის მიუხედავად, უკვე 500 ადამიანი გახდა მისი წევრი და ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. სათვისტომოში გავხსენით საკვირაო სკოლა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ ამ სკოლას სულ რამდენიმე მოსწავლე ეყოლებოდა, მაგრამ იმდენი მოვიდა, რომ ადგილები არ გვყოფნის – თითო მერხთან სამ-სამი ბავშვი ზის! სხვა გზა არ არის, უნდა გავფართოვდეთ.

სკოლის გარდა სათვისტომოში ცეკვის ანსამბლიც გვაქვს, სახელად **„იმედი“**. კოსტუმები თბილისში შეიკერა. ამჟამად **„იმედი“** ყველა ჩვენს დღესასწაულს ამშვენებს, მათ შორის, გიორგობას, რომელზეც უამრავი ხალხი იკრიბება.

ეკლესიის მშენებლობაზე ფიქრი რომ დავიწყეთ, გვესმოდა, რომ საეკლესიო საქმეებში ჩახედული სპეციალისტის გარეშე არაფერი გამოგვივიდოდა, მაგრამ არ ვიცოდით, ვისთვის მიგვემართა დახმარებისათვის თბილისში. სწორ გზაზე ჩემმა კოლეგამ – ტომსკის სათვისტომოს ხელმძღვანელმა დაგვაყენა. მან გვირჩია, საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომელს, პატრიარქის პირად წარმომადგენელს, დეკანოზ გიორგი ხარაზაშვილს შევხვედროდით. მასზე უკეთ ვერავინ დაგვეხმარებოდა კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრაში და გვასწავლიდა, რა საბუთები იყო მოსამზადებელი. ჩვენ, საერო ადამიანებს, ამგვარი საქმისა ხომ არაფერი გვესმოდა...

და აი, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ჩვენ დავუკავშირდით მამა გიორგის. საუბრის დაწყებისთანავე მივხვდი, რომ ჩემთან შეხვედრა უხარიათ, მე ვუყვარვარ! და მარტო მე კი არა, ყველა, ვისთვისაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის მშენებლობას! აღვნიშნავ, რომ წმიდა გიორგის ტაძარი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ტაძარი იქნება მთელ ციმბირში. ის სათვისტომოს სახსრებითა და გულშემატკივართა პირადი შემოწირულობებით აშენდება. ასეთი ხალხი, საბედნიეროდ, არც ისე ცოტაა.

ჩვენ საფუძვლიანად გავარკვიეთ, რა იყო საჭირო, მოვამზადეთ სათანადო საბუთები და საქმეც ადგილიდან დაიძრა. თბილისში ჩემი ხანმოკლე ვიზიტისას შედგა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ შვებულებაში იმყოფებოდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის ჭობულეთის რეზიდენციაში მიმიღო, რისთვისაც მე მისი უსაზღვროდ მადლიერი ვარ! პატრიარქი საქმის კურსში იყო, მან დაწვრილებით გამომკითხა მომავალი მშენებლობის ამბავი.

საქმე ის არის, რომ ეკლესია ვაკის სამების პროექტით აშენდება. შიგა მორთულობაც სრულიად შეესაბამება ქართულ სულს. ადგილიც შერჩეულია –ქალაქის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას. იქვე, გვერდით, საბავშვო მოედანი და შადრევანია. პროექტი უკვე შეთანხმებულია ქალაქის მერთან, მთავარ არქიტექტორთან. განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ამ წამოწყებაში აქტიურად გვეხმარება როგორც ადგილობრივი, ისე ოლქის ხელისუფლება.

ალბათ, ხვდებით, რომ ტაძრის კომპლექსი ჩვენთვის პატარა საქართველო იქნება! ჩვენ – სათვისტომოს წევრები – მონაწილეობას მივიღებთ სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც ქართული სახელმწიფოს წარმომადგენლები რუსულ მიწაზე.

როგორც მამა გიორგიმ აღნიშნა, ოფიციალური მოლაპარაკების თანახმად, ეკლესია ადგილობრივ ნოვოსიბირსკის ეპარქიაში შევა. მიუხედავად ამისა, ეკლესიასთან მოქმედებას დაიწყებს ქართული კულტურის ცენტრი, საკვირაო სკოლა, რომელშიც შეისწავლიან ჩვენს კულტურასა და ისტორიას, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საპატრიარქოსა და ჩვენთვის, ყველასთვის! გარდა ამისა, ვაპირებთ, ჩავატაროთ ინტელექტუალური შეხვედრები, ავაშენოთ სასტუმრო განსაკუთრებული სტუმრებისათვის, ძეგლი დავუდგათ გენერალ ბაგრატიონს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოიწონა ჩვენი ინიციატივა და მოგვცა მითითებები, რომლებსაც აუცილებლად შევასრულებთ. სატაძრო კომპლექსი წმიდა გიორგის ეკლესიით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით აშენდება! გამომშვიდობებისას ილია მეორემ ხელზე სამაჯური გამიკეთა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან დარჩება...

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თქვენ ოფიციალური წერილით ითხოვეთ კურთხევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან მისი მაღალუსამღვდელოესობის, ნოვოსიბირსკისა და ბერდის მიტროპოლიტ ტიხონის ვიზიტზე საქართველოში და მის შეხვედრაზე უწმიდესთან...

– ნოვოსიბირსკის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია **„საქართველოს ხალხთა სათვისტომო“** შეიქმნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნოვოსიბირსკის ეპარქიის მხარდაჭერით და მეუფე ტიხონის კურთხევით. მეუფე ტიხონი თბილისში ცხოვრობდა და აალექსანდრე ნეველის ტაძარში ეწეოდა ღვთისმსახურებას. ის ქართულად საუბრობს და ძალიან უყვარს ჩვენი ხალხი, ყველანაირად ეხმარება სათვისტომოს. ბევრი საკითხი მისი პირადი მხარდაჭერით გადაწყდა. დაბოლოს, მისი პირადი მხარდაჭერით გამოყო ნოვოსიბირსკის მერიამ მიწის ნაკვეთი სატაძრო კომპლექსის ასაშენებლად. თითქმის ნახევარი ჰექტარი მიწა ქალაქის ცენტრში უსასყიდლოდ გადმოგვცეს!

საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას შევათანხმეთ მეუფე ტიხონის ჩამოსვლის თარიღი, რომლის დროს იგი საქართველოს წმიდა ადგილებს მოილოცავს.

მე აბსოლუტურად ბედნიერი მივემგზავრები ჩემი ისტორიული სამშობლოდან – ციმბირის პირველი ქართული ტაძრის საძირკველში პირველი ქვა წელსვე ჩაიდება. მრავალი წლის ოცნება მალე ახდება!

– გმადლობთ ინტერვიუსათვის და წარმატებებს გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ და ისტორიულ წამოწყებაში, ბატონო მერაბ.

ესაუბრა ჯიანა შერეშაშვილი
საქინფორმი

მემედ აბაშიძის გზა თუ?!...

უბედურო საქართველოვ, საით მიდიხარ!!!

„ჩვენი ხალხის შეუგნებლობამ, ჩვენი ქვეყანა უცხოელების სათარეშოდ გადააქცია. ბათუმის სიმშვენიერით მოხიბლული გადამთიელნი ბატონებად გაგვიხდნენ და უკვე გათავხედებულები ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს ფეხქვეშ თელავენ.“

მემედ აბაშიძე

ამიერკავკასიის ურთულეს გეოპოლიტიკურ სივრცეში ქართველთა გადარჩენის განმაპირობებელი მიზეზების შესახებ, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ძირითადად სამ ფაქტორს გამოყოფდა: 1)ქართველთა მეომრულ სულისკვეთებას; 2)ქვეყნის სწრაფადაღდგენად მეურნეობას; 3)მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას. ვინც საქართველოს ისტორიაში სიღრმისეულადაა ჩახედული, დამეთანხმება, რომ ქართველი ერის დაჩოქების, მისი გადაგვარების, ზნეობრივად გახრწნის და მასში მონური შემგუებლის ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად, ნებისმიერი დამპყრობელის იერიში სამივე მიმართულებით იყო გამიზნული. დამპყრობლის მხრიდან ქართველი ახალგაზრდების უცხოეთში გასახლება ან მამლუქებად გაყიდვა, პირველ რიგში ერში მეომრული პოტენციალის ჩაკვლას ისახავდა მიზნად. საბედნიეროდ, წინა საუკუნეების ვერცერთმა გადამთიელმა ქართველი მეომრის დაჩოქება ვერ შეძლო, რადგან თითოეულ ქართველ ჯარისკაცს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ყოველი გოჯი ქართული მიწა, მისი წინაპრების ძვლებით იყო მოკირწყლული და სისხლით გაპოხიერებული. აქედან გამომდინარე, მას სხეულის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდა და რომელიმე კიდურის ჩამოსაჭრელად მომხდურ უცხო გადამთიელს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა.

დროის ცვალებადობამ და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ერში სიბინძურის თესლის აღმოცენებისადმი შეგუებას და მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. წინაპართა დანატოვარი ტერიტორიისადმი მოვლა-პატრონობის აუცილებლობის პასუხისმგებლობა, დღევანდელი ახალგაზრდების უმეტესობაში მიზანმიმართულად იქნა ჩაკლული და ტაშფანდურით ჩანაცვლებული. სახელმწიფოს მადალჩინოსანთა ძალისხმევით, საინფორმაციო საშუალებების მხრიდან გაწეული ფართომასშტაბიანი გაუკურმართებული არაეროვნული იდეოლოგიური პროპაგანდიდან გამომდინარე, მასის ცნობიერებაში ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა, ნაკლებად მტკივნეულ მოვლენად იქნა აღქმული. რაგინდ პარადოქსადაც არ უნდა მოჩანდეს, ამ ფონზე, უცხო ქვეყნების სამსახურში ფულის საშოვნელად ჩადგომა და მათი ტერიტორიული მთლიანობისათვის სისხლის დაღვრა, საქართველოს ხელისუფლებამ საამაყოდ და პრიორიტეტად გამოაცხადა. ახალგაზრდობაზე ამ მიმართულებით იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება ედვარდ შევარდნაძის დროს დაიწყო და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კლასიკურ დონეზე ავიდა. შესაბამისი უწყებების მხრიდან აღნისნული მიმართულებით გაწეული საქმიანობის **„შემოქმედებით გვირგვინს“**, აფსუებთან და ოსებთან საომარი მოქმედებების სამარცხვინოდ წაგება წარმოადგენდა. უცხოელებისგან გასულ საუკუნეებში უძველეს მეომართა სამჭედლოდ აღიარებული ქართველობა, ე.შევარდნაძისა და მ.სააკაშვილის **„რეფორმების“** შედეგად, საერთაშორისო არენაზე სხვისი ხელისშემყურე და ბრძოლის უუნარო ერად წარმოვჩნდით.

რაც შეეხება მეურნეობის სწრაფად აღდგენადობას, ძველი ბერძნების მიერ მიწათმოქმედების ქვეყნად ერთ დროს წოდებულ საქართველოში, ბოლო 15 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ნულამდე იქნა დაყვანილი. დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს სოფლები და ადგილობრივი გლეხკაცის მეურნეობა, მტრისგან ათასგზით შემოსევების შედეგად გავერანებულს დაემგვანა. ქართული სახელმწიფოს ერთიანობის, ქართველი ერის ფიზუკურად შესანარჩუნებელი ამ ორი ფაქტორის მიზანმიმართულად მოშლის და განადგურების შემდეგ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინაშე მესამე საფეხურის– მართლმადიდებლური სარწმუნოების დასამარების საკითხი დადგა დღის წესრიგში. **„ვარდოსნების“ მიერ ამ მიმართულებით კულუარებში დამუშავებულმა და ფარულად დაწყებულმა ანტიმართლმადიდებულმა საქმიანობამ, ნიღაბი ჩამოიხსნა და ხმალამოწვდილი ოსმალო ასკერივით ჩვენს სინამდვილეში შემოიჭრა.** ეს პროცესი განსაკუთრებული ძალისხმევით სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ამ რეგიონში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა და იარაღის გამოყენებით მოსახლეობაზე მუსლიმანური სარწმუნოების თავსმოხვევა, ოსმალო დამპყრობლების აგრესიასთან იყო და არის დაკავშირებული. ქართველთა გამუსლიმანებას, ოსმალო ოკუპანტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მისატაცებელ ბერკეტად იყენებდნენ. ფულზე დახარბებული რენეგატი ქართველების მხრიდან დამპყრობლის სამსახურში ჩადგომა, მომხდურის ჩანაფიქრის ხორცშესხმის გაადვილების შესაძლებლობას იძლეოდა. იარაღის გამოყენებით და ძალმომრეობის გზით ოსმალებმა რაც ვერ შეძლო, ადამიანების ფულით მოსყიდვის და მასზე იდეოლოგიური ზემოქმედების დახვეწილი ფორმების ამოქმედებით მიაღწია. ეროვნული ცნობიერების მიღმა მდგომი გადაგვარებული ქართველების ერთი ნაწილი, ოსმალური ოქროს მდინარის ამ შენაკადს ჩოქბჯენში დაეწაფა. მართლმადიდებლობისადმი ზურგშექცევის, დედა-სამშობლოს საფიცარი მიწაწყლის უცხო გადამთიელებზე მიყიდვა-გაჩუქებით, ოსმალური ოქროს ზოდებით ცარიელი ტომრების ავსებას შეეცადა. საუბედუროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი, ერის ღალატით დატვირთულ ამ სამარცხვინო გზას წარმატებით აგრძელებს. ასეთი რენეგატების ძალისხმევით, ჯერ კიდევ 1917 წელს (აპრილი, 17 ნოემბერი) მოწვეულმა აწყურისა და აბასთუმანის მუსლიმანთა ყრილობებმა, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ერთიანი საქართველოსაგან ჩამოცილებულად გამოაცხადა და **„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს“** შექმნის საკითხი დააყენა. ამასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: **„შეექმნათ სახელმწიფო ყარსისა, არდაგანისა და ბათუმის ოლქებისგან, რომლებსაც შეიძლება მივუმატოთ ახალციხე და ახალქალაქი. ყარსი ჩვენი ციხე იქნება, არდაგანი გამოგვკვებავს პურით და სხვა სურსათით და ბათუმი კი თბილისის ადგილს დაიჭერს, რადგანაც ის დაგვაკავშირებს დასავლეთ ევროპასთან.“** ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად, ყრილობის ორგანიზატორებმა **„რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციის“** (1917 წლის 2-15 ნოემბერი) მეორე მუხლის გამოყენება სცადეს. ქართველი მუსლიმანები ქართველებისგან განცალკევებულ ერად გამოაცხადეს, მათთვის სახელმწიფოს წარმონაქმნის შექმნის და ოსმალეთთან ავტონომიური უფლებებით შეერთების აუცილებლობა დააყენეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 4 აპრილის სხდომაზე გ. ანჯაფარიძე ხაზგასმით მიუთითებდა. **„ჩვენი მეზობლები გაიძახიან, ახალციხის მაზრის მუსლიმანებს არ სურთ საქართველო. რუსეთის რევოლუციის (ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების გ.ს.) თვითგამორკვევის უფლების თანახმად მას სურს შეადგინოს საკუთარი სახელმწიფოებრივი სხეული. საქართველო კი, რომელსაც დემოკრატიულ რესპუბლიკად მოაქვს თავი, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს ამ თავისუფლების მოყვარე ხალხს.“** ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოდან მესხეთ-ჯავახეთის და ბათუმის ოლქის ჩამოცილების **„გამართლების“** მიზნით, ოსმალური მხარე, მუსლიმან ქართველებს, ქართველებისაგან განცალკევებულ ერად აცხადებდა. ამ ფონზე ახდენდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის აფიშირებას. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ფულით მოსყიდული აგენტების (პეპინოვი, ომარ-ფაიკი, მუსაკიევი, ათაბაგ-ქობლიანსკი, სერვერ-ბეგი და სხვები) ძალისხმევით შეიქმნა **„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს მთავრობა“**, რომელსაც სათავეში სერვერ-ბეგი ჩაუდგა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ აღნიშნული **„მთავრობა“**, საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ევროპის სახელმწიფოებისაგან მხარდაჭერის მიღებას შეეცადა. მხედველობაში მაქვს პარიზის საზავო კონფერენციაზე საგანგებო უფლებებით აღჭურვილი დელეგაციის (ატტაიხ-ზადე, ასსათ-ბეი, ხალილზადე ალი-ბეი) გაგზავნის ფაქტი. მის ძირითად ამოცანას, ახლადშექმნილი **„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს“** ინტერესების დაცვა და საქართველოდან ჩამოცილება წარმოადგენდა. შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მებრძოლი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა უდიდესი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დროის ფაქტორს და ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციას სერვერ-ბეგი მაქსიმალურად იყენებდა. მის მიერ ახალციხეში ჯარით შესვლა (1919 წლის 10 იანვარი), სამხედრო აღლუმის მოწყობა და ადგილობრივი ხელისუფლების შექმნა, პოლიტიკურთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიურ დატვირთვასაც იძენდა. მით უმეტეს, ზემოაღნიშნულ ფაქტთან ერთად, ოსმალეთის მიერ 1918 წლის 14 ივლისს იარაღის მუქარის ქვეშ ბათუმში ჩატარებული რეფერენდუმის გაყალბებულ მონაცემებს, ოსმალური პრესა, საქართველოს საწინააღმდეგოდ ფართო აფიშირებას უკეთებდა. იმ შემთხვევაში, თუკი პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს სერვერ-ბეგის დელეგაცია ზემოაღნიშნული ფაქტების სისწორეში დაარწმუნებდა, ოსმალეთის მხრიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულად დანაკუწებისა და ნაჭერ-ნაჭერ მიტაცების რეალური საფრთხე იქმნებოდა. **ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ჟამს, გადამწყვეტი სიტყვა მუსლიმან ქართველობას უნდა ეთქვა. ქართველი ერი ღვთისმშობელმა ამჯერადაც არ გასწირა და მისი წილხვედრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მუსლიმან ქართველობას ბელადის სახით ღირსეული თავკაცი მოუვლინა. პიროვნება, რომელსაც არცერთი გოჯი ქართული მიწა უცხო თესლის ნაშიერზე გასასხვისებლად რომ არ ემეტებოდა. მართალია, სარწმუნოებით მუსლიმანი იყო, მაგრამ შინაგანი ცნობიერებითა და სისხლხორცეულად ჭეშმარიტი ქართველი. ეს იყო ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან ოქროს ზოდებით ვერმოსყიდული და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული დიდი მემედ აბაშიძე. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ მეზობელი ოსმალეთის ხელისუფალნი ქართველთა ღალატისათვის მემედ აბაშიძეს ოსმალეთში „ოქროს სასახლესა“ და „ოქროს სავარძელს“ სთავაზობდა, უცხოელთა შეპირებულ დიდებასა და პატივს, მან ეკლიანი გზის გავლა და ბედკრული საქართველოსადმი სამსახური ამჯობინა. ქვეყნისათვის კრიტიკულ მომენტში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად მუსლიმან ქართველებს, ღირსეული ქართული სიტყვა ათქმევინა.** მხედველობაში მაქვს ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობა, რომელიც მემედ აბაშიძის ძალისხმევით იქნა მოწვეული. სწორედ ამ ყრილობაზე მიიღეს ის ისტორიული დოკუმენტი, რომელშიაც ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით, ყრილობის მონაწილე ასმა დელეგატმა **„ღვთისა და ქვეყნის წინაშე“** თავისი პოზიცია წერილობით ერთხმად რომ დააფიქსირა: **„ბათუმის ოლქის მკვიდრნი სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა... ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას... დადგენილება ესე ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად.“** ანალოგიური დატვირთვა შეასრულა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით **„სამუსლიმანო საქართველოს“** მეჯლისის მიერ 1920 წლის 23 აპრილს მიღებულმა რეზოლუციამ. ამ დოკუმენტით, არა მარტო პროქართულ ორიენტაციას ადასტურებდა მუსლიმანი ქართველები, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შეახსენებდა, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს ისტორიული ტერიტორია იყო და მისი მომავლის ბედის გადაწყვეტა ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ჩემს მიერ ზემოთ დასახელებულმა დოკუმენტებმა, თავის დროზე უდიდესი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა შეასრულა. პარიზის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს დელეგაცია, ანტიქართულ ძალებთან იდეოლოგიური **„ომისა“** და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შესანარჩუნებლად გამართული დისკუსიის დროს, ამ დოკუმენტებს ემყარებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ სამშობლოსადმი უანგარო სამსახური, მემედ აბაშიძეს ბოლშევიკებმა იმით **„დაუფასა“**, რომ 1937 წელს დახვრიტა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კოსმოპოლიტიზმის სენით დაავადებული საბჭოური ხელისუფლების ლიდერებში ეროვნება და სამშობლოს ცნება ყოველთვის უკანა პლანზე იდგა. გაკვირვებას მხოლოდ ის ფაქტი იწვევს, როცა ნაციონალური, ანუ ეროვნული მოძრაობის სახელწოდების ნიღბით მოსული დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ბოლშევიკებზე ათგზის კოსმოპოლიტები რომ აღმოჩნდნენ. მსოფლიო მოქალაქეობის მოტრფიალეებმა და ამ სტატუსს მონატრულებმა, მემედ აბაშიძის წინააღმდეგ თავის დროზე დაწყებული ბრძოლის მეთოდები შესანიშნავად გააგრძელეს. ეს პროცესი, თურქეთისა და სომხეთის მთავრობებისადმი გარკვეული რევერანსისა და სიამოვნების კურსზე ააგეს. სამშობლოსადმი უანგარო მოსამსახურის, **„სამუსლიმანო საქართველოს“** გათურქებისა და გასომხების წინააღმდეგ მებრძოლი მემედ აბაშიძისადმი ზიზღი, მიხეილ სააკაშვილმა და ლევან-სერვერ-ბეგ-ვარშალომიძემ ოფიციალურად ისეთი ფორმით გამოხატეს, რომ ცოცხალი მემედ აბაშიძე, ამ ადამიანებისგან დახვრეტას ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა. მკვდარს რომ ვერაფერი დააკლეს (საფლავი უცნობია), შეშლილი ბავშვივით **„ატროკებულებმა“** ბულვარში დადგმულ მემედ აბაშიძის ძეგლს **„დაეტაკნენ“**, ილუზიონისტის მეთოდი გამოიყენეს და იგი თვალსაჩინოების ადგილიდან გააქრეს. მის ნაცვლად, **„ვარდების რევოლუციის“** შემოქმედთა აზროვნების ხელოვნების სიმბოლო – კვერცხებზე დადებული **„ჩხაბუტის“** (2,5 მილიონის ღირებულება) ძეგლი წამოჭიმეს. დიდებული წინაპრების ძეგლთა მნგრეველი მანქანის საჭისა და მუხრუჭის გაუმართაობის გამო, გაუგონარი სისწრაფით დიდი ილიას ძეგლსაც დაეტაკნენ, სანაგვეზე **„გადამალეს“** და მის ადგილზე ფსიქოლოგიურად ავადმყოფი და ტვინგამორეცხილი ადამიანისათვის მისაღები **„ფრანკენშტაინის“** დაწყვილებული ხუხულა წამოასკუპეს. მომხდარი ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს: როგორც სერვერ-ბეგისათვის, ამ ტიპიური მოღალატისათვის იყო მიუღებელი საქართველოსადმი სამსახური, მისი გზის მიმდევარ ლევან ვარშალომიძისათვისაც მიუღებელია დიდი ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ხსოვნისადმი პატივისცემა. **ისტორიას თავისი უმკაცრესი კანონები გააჩნია. მემედ აბაშიძე ქართველი ერისაგან დიდების პანთეონს იმსახურებს. სერვერ-ბეგის ბილიკის მლოკავი და ოქროს შეგროვებით დახარბებული ლევან ვარშალომიძის მსგავსი ადამიანები სირცხვილის პანთეონს. თუკი ქართველთა მოდგმას გადაშენება არ უწერია, მათი სახელითა და გვარით ამოტვიფრული მემორიალური დაფები სირცხვილის პანთეონში უნდა განთავსდეს.**

გიორგი სუფსისპირელი

კვლავ არარსებული სეპარატიზმის თაობაზე

ინტერნეტგაზეთ "7 დღეში" გამოქვეყნდა ბოდმით სავსე წერილი სათაურით "ბალში მეგრელიზაციის პროცესი მიმდინარეობს", რომლის ავტორია ვიღაც ლია ტოკლიკიშვილი.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წერილიდან:

"...ძალზე საყურადღებოა გალის რაიონში წლების განმავლობაში მიმდინარე მოვლენები, რომელთაც ქართველი საზოგადოება საერთოდ არ იცნობს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება თვალს უხუჭავს. გალის რაიონში მცხოვრები ქართველები იქ არსებულ რეალობასთან პირისპირ არიან დარჩენილი ყოველგვარი ყოფითი, იურიდიული და პოლიტიკური დაცვითი მექანიზმების გარეშე. ომის შემდგომი წლების განმავლობაში მათ მიმართ განხორციელებული აგრესიის პოლიტიკა სოხუმის ხელისუფლებამ დამოუკიდებელ აფხაზეთში მათი ინტეგრაციის პოლიტიკად გარდაქმნა, რაც, ერთი შეხედვით, დადებით ტენდენციას ჩამოგავს...

...გალის რაიონის მცხოვრებლებს პასპორტებში ეროვნული გრაფის გასწვრივ მეგრელი უწერიათ, რაიონის რამდენიმე სკოლაში ქართული ენის სწავლება ჩანაცვლებულია მეგრული ენის სწავლებით, გალში გამომავალ გაზეთ „ГАЛ"-ის თავფურცელზე რუსულ ენაზე წერია: „გაზეთი გამოდის აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენებზე." ცოტა ქვემოთ – „ყველა ხალხს აქვს თანაბარი უფლება, ისაუბროს და წეროს მშობლიურ ენაზე" (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია)...

...ცხადია, ამ გაზეთის დევიზი და შინაარსი არ ემსახურება მხოლოდ აფხაზებისთვის აფხაზური ენის მიმართ ინტერესის გაძლიერებას. გაზეთის ის გვერდები, რომლებიც მეგრული ტექსტებით არის შევსებული და რომლებიც პირველი შეხედვისას ქართული გეგონება ქართული ასო-ნიშნების გამოყენების გამო, გალელი ქართველების ცნობიერების გაყვანას ემსახურება ქართული ცნობიერების საერთო ველიდან. სხვათაშორის არ გამჭირვებია მეგრული ტექსტების შინაარსის წაკითხვა, რადგან, როგორც ცნობილია, მეგრული ენა ქართველური ენების ჯგუფის წარმომადგენელია და ამ ჯგუფის სხვა წევრებთან – სვანურთან, ჭანურთან ერთად – ძალიან ჰგავს ქართულს..."

მოკლედ წერილი გადაჭედილია მსგავსი "მარგალიტებით" და, რაც მთავარია, კეთდება "კომპეტენტური დასკვნა", რომ ყოველივე ეს ეს შეიცავს, რასაც მთელი საქართველო უნდა აღუდგეს წინ.

მე თავად გახლდით აფხაზეთში, როცა გაზეთ "Гал"-ის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია მეგრული ენის დაცვის თაობაზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაზეთ "Гал"-ის მთავარმა რედაქტორმა ნუგზარ სალაყაიამ, რომელიც გაზეთ "ІЛОРІС" რედკოლეგიის წევრია, გვთხოვა, რომ დავხმარებოდით გალის მეგრული სკოლების მოსწავლეებისათვის მეგრულენოვანი წიგნების შეძენაში. როგორც ხედავთ, ქართველებსა და აფხაზებს შორის ყველა ხიდი საბოლოოდ არ არის დამწვარი და თუ ისინი ასეთი გულისყურით ექცევიან მეგრულ ენას, გამორიცხულია რომ გარკვეული სიმპატიები არ გააჩნდეთ სამეგრელოს მიმართ.

ამის შემდეგ, მართლაც სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს ზოგი ჩვენი თავგახურებული თანამოქალაქის გულისწყრომა იმის თაობაზე, რომ აფხაზები შეგნებულად აღვივებენ მეგრულ სეპარატიზმს, რათა შემდეგ საქართველოს ეს კუთხე ჩამოაშორონო.

მართლაც ფსიქიური პარანოით უნდა იყოს შეპყრობილი ადამიანი, ამგვარი აზრი რომ მოუვიდეს თავში.

როგორც ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, ასევე მრავალმა ქართველმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა განაცხადა, რომ საქართველოში ერთადერთი მხარეა სამეგრელო, რომელსაც შეუძლია აფხაზებთან დიალოგის გამართვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის თაობაზე. ამის შემდეგ ორიენტირებული უნდა ვიყოთ აფხაზებსა და მეგრელებს შორის ნდობის აღდგენასა და ურთიერთობების განმტკიცებაზე და არა მათ დაშორიშორებაზე, რადგან აფხაზეთი უკვე ისედაც ოცი წელია მოწყვეტილი ქართულ რეალობას.

მაგრამ ის ხალხი, რომელიც ტაშს უკრავს სააკაშვილსა და ნაციონალებს და ქვეყნის აღმაშენებლებად მოიხსენიებს მათ, ვინც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს დაშლა-დანაწევრებაში, რა თქმა უნდა, უარყოფითად შეაფასებს ქართველებისა თუ აფხაზების მიერ ჩვენი ხალხების დასაახლოებლად გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

მაგრამ, როგორც იტყვიან, **"ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის!"**

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისი"-ს და "აია"-ს
აკადემიების წევრი

თბილისის სომეხთა კავშირის მიმართვა ილია მეორეს

თბილისის სომეხთა კავშირის მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, 2012 წლის 24 აპრილს საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე:

"ქვენო უწმიდესობავ!

მივმართავთ თქვენს სიბრძნეს და გთხოვთ, თავიდან აგვაცილოთ გარედან ინსპირირებული კიდევ ერთი კონფლიქტი კურთხეულ ქართულ მიწაზე ისტორიულად კეთილმეზობლურად მცხოვრებ ხალხებს შორის, ამჯერად – სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს შორის. მომხდარი ინციდენტი საქართველოს პარლამენტში იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია გაჭიანურებულ თემთაშორის კონფლიქტში მისი გადაზრდის გათვლილი პერსპექტივით. ჩვენს დედაქალაქში მცხოვრებ ხალხებს ეყოთ სიბრძნე და საუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების პატივისცემა, რათა სტაბილურობა შეენარჩუნებინათ მღელვარე 90-იან წლებშიც, როდესაც ინგრეოდა იმპერია, რომელმაც ყველა ჩვენგანს მემკვიდრეობით დაუტოვა სისხლიანი კონფლიქტები კავკასიაში. ჩვენი თანამემამულენი – სომხური და აზერბაიჯანული თემების წევრები – ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მშვიდობასა და თანხმობაში ცხოვრობდნენ, მხარდამხარ მუშაობდნენ, მწუხარებასა და სიხარულს თანაბრად იყოფდნენ. ამ კეთილმეზობლური ურთიერთობის სიმბოლო ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი რელიგიური სიწმინდეები, რომლებიც თბილისის მეიდანზეა განლაგებული, სადაც ისტორიულად მუსლიმანი მოსახლეობა ჭარბობს.

საქართველო ამჟამად თავისი ისტორიის უაღრესად საინტერესო ეტაპზეა და მეზობლებს ურთულეს გეოპოლიტიკურ პირობებში წინსვლითი განვითარების ღირსეულ მაგალითს აძლევს. და ისტორიულად სწორედ საქართველოს განესაზღვრა შუამავლის როლი თავსმოხვეულ ეროვნებათშორის კონფლიქტებში როგორც თავის ტერიტორიაზე, ისე ისტორიული მეზობლების ტერიტორიებზე. ხოლო მათ, ვისაც ეს არ მოსწონს, ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ნგრევის სარეზერვო გეგმა აამოქმედეს. პროვოკატორებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ეროვნული უმცირესობების მიმართ ყოველგვარი პოლიტიკის არარსებობა უწყობს ხელს. ფრიად იშვიათი ეპიზოდების გარდა, ჩვენთვის როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციურ სატელევიზიო არხებზე დაშვება დახურულია. ცნობილი ტელეკომენტატორები ჩვენივე შიდა და თემთაშორის პრობლემებზე მსჯელობისას ჩვენს აზრს უგულებელყოფენ და, ამავე დროს, ჩვენი მისამართით აგდებულ რეპლიკებს აკეთებენ. სწორედ გუშინ პოპულარული ოპოზიციური არხის საღამოს პოპულარულ გადაცემაში უაღრესად პოპულარულმა და ამდენადვე ეპატაჟურმა ტელეწამყვანმა თავის პატივცემულ სტუმართან ერთად თანამედროვე ყოველდღიურობის ყველაზე სალანძღავი სიტყვები გამოითვალა – „სტალინი. ოკუპანტი. სომეხი". ჩვენს განცხადებებში არაერთხელ მივაპყარით ხელისუფალთა ყურადღება, რომ მათ გარემოცვაში არიან პიროვნებები, რომლებიც დაინტერესებული არიან თემთაშორისი დაძაბულობის ესკალაციით და სრულმასშტაბიან კონფლიქტში მისი გადაზრდით.

იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ერთმნიშვნელოვნად უზენაესი სულიერი ავტორიტეტი ბრძანდებით არა მარტო მართლმადიდებელი სამწყსოს, არამედ საქართველოში მცხოვრები ხალხების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, თხოვნით მოგმართავთ თქვენ და თქვენს სიბრძნეს – თავიდან აირიდეთ დაპროგრამებული პროვოკაცია და ღვთის სიტყვა ჩვენს მრავალტანჯულ, მაგრამ მშვენიერ საერთო სამშობლოში მშვიდობისა და სიმშვიდის დასაცავად მიმართეთ! ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში შრომასა თუ ბრძოლაში იცავდნენ საქართველოს გარე და შინაური მტრებისგან. ჩვენც ნურავის მივცემთ უფლებას, მისი მიწა სიძულვილის შხამიანი თესლით მოწამლონ!

ღრმა პატივისცემითა და მტკიცე რწმენით, რომ ჩვენი სიტყვა გაგონილ იქნება!

მიხეილ თათევოსოვი,
თბილისის სომეხთა კავშირის
პრეზიდენტი, ფსიქოლოგიის
დოქტორი"

მიშა სააკაშვილი ნორიკ ახალქალაქსკის მეგობარი?

"სომხეთში საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც 2012 წლის 6 მაისს გაიმართა, აქტიურად გაშალა საქმიანობა მოსკოვის ჯავახკი სომხების თემის მეთაურმა, სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენელმა ნორაირ თევანიანმა", – იუწყება ერევნული გაზეთი „ჩორორტ ინკნიშხანუტიუნ". „ნორაირ თევანიანს, რომელიც წარმოშობით საქართველოს სომხებით დასახლებული რეგიონიდან – ჯავახეთიდან, არის, თავისი წვლილი შეაქვს სომხეთში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში მმართველი პარტიის – სომხეთის რესპუბლიკური პარტიის სასარგებლოდ". გაზეთის ცნობით, თევანიანმა მითითება მისცა სომხეთში თავის თანამოღვაწეებს – აქტიურად იმუშაონ რესპუბლიკური პარტიისა და მაჟორიტარი კანდიდატების – არტაკ სარქისიანისა და არტურ სტეპანიანის – სასარგებლოდ. ამ დღეებში კანდიდატებმა ერევანში მცხოვრები ჯავახეთის სომხებისთვის ბანკეტები მოაწყვეს, რომლებზეც მათ სომხეთის რესპუბლიკური პარტიისათვის ხმის მიცემისკენ მოუწოდეს.

(აღსანიშნავია, რომ ამ მექანიზმმა სომხეთში 2007 და 2008 წლებში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზეც იმუშავა. მაშინაც ნორაირ თევანიანმა, რომელიც სომხეთში შექმნილი **„საქართველოს სომეხთა ერთობის"** (სუბეთნიკური ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია სომხეთში მცხოვრები ჯავახეთის სომხების გაერთიანებისკენ) დამფუძნებელია, ჯავახეთის სომხებთან შეხვედრა მოაწყო და განკარგულება მისცა, რომ 2007 წელს მათ ხმა სომხეთის რესპუბლიკური პარტიისათვის მიეცათ, ხოლო 2008 წელს – რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატ სერჟ სარგსიანისთვის).

როგორც ადრე ადგილობრივი ექსპერტი გერბერტ სედრაქიანი წერდა, თევანიანი კარგადაა ცნობილი ავტორიტეტებს შორის მეტსახელით **„ნორიკ ახალქალაქსკი"**. „მასთან აშკარა კონფრონტაციას ყველა ერიდება და რეპუტაციაც შესაბამისი აქვს. იგი, ასევე, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მომხრე და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მისი იდეების გამტარებელია".

„როგორც ჩანს, სწორედ ამან მოხიბლა სააკაშვილი, როცა იგი ჯავახეთში დასაყრდენს ეძებდა. გათვლა ნათელია: სომხებით დასახლებულ რეგიონში სიტუაციის სომხების ხელით კონტროლი. სააკაშვილისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არიან ისინი, მით უმეტეს, რომ პოლიტიკა – პოლიტიკად, მაგრამ არსებობს ფინანსური ინტერესებიც. თევანიანი აქაც „გუნდშია". დიდი ხანია, ყველამ იცის, რომ მოსკოვში ის საგზაო ბიზნესითაა დაკავებული, და სააკაშვილთან მისი მეგობრობა ამას ხელს არ უშლის... თევანიანს დიდად უწყობს ხელს ჯავახეთში არსებული უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც. იქ სომხებს სამუშაოს შოვნა ძალიან უჭირთ და ვითარების შეცვლაც არ შეუძლიათ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სააკაშვილისა და თევანიანის მიერ დანიშნული ხალხია, რომლებიც ნამდვილად არ არიან დაინტერესებული რეგიონის ეკონომიკის განვითარებით. გამოყოფილი სახსრების დიდი ნაწილი ადრესატამდე არ მიდის.

სააკაშვილმა თევანიანს სხვა ვალდებულებებიც დააკისრა. ესაა მსხვილი თანხების შეგროვება საქართველოს პრეზიდენტის საჭიროებებისათვის. ცხადია, თევანიანი ამ ფულსაც იმავე ჯავახელებისგან კრებდა, თითქოსდა „შენატანისათვის", რომელიც საშუალებას მისცემდა სომხებს, ამის შემდეგაც მშვიდად ეცხოვრათ და ემუშავათ ჯავახეთში. საერთო ძალისხმევით სამი მილიონი ევრო შეიკრიბა, თუმცა რა თანხამ მიაღწია სააკაშვილამდე და რამდენი დაიტოვა თევანიანმა საშუამავლო მომსახურებისთვის, ამაზე მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ თავად რეგიონში არაფერი შეიცვლება", – აღნიშნულია სტატიაში.

ბათუმის ნავთობტერმინალიდან ბაქრაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობმა გაჟონა

ბათუმის ნავთობტერმინალიდან დიმიტრი ბაქრაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, აპრილის მიწურულს, გვიან ღამით ნედლმა ნავთობმა გაჟონა. ნავთობის საკმაოდ დიდი რაოდენობა მდინარე ბარცხანის შესართავში ჩაიღვარა.

შემთხვევის ადგილზე აჭარის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საზღვაო-სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის ნავთობის ავარიულ ჩაღვრებზე რეაგირების ჯგუფი სალიკვიდაციო სამუშაოებს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდა, რამაც ნავთობის ზღვაში ჩაღვრის თავიდან აცილება უზრუნველყო, რასაც შეიძლებოდა საკმაოდ მძიმეშედეგიანი ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია.

ნავთობის ავარიულ ჩაღვრებზე რეაგირების ჯგუფი თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით არის აღჭურვილი, რომელიც ტერიტორიის ოპერატიულად შემოსაზღვრას და დაღვრილი ნავთობის ამოტუმბვას უზრუნველყოფს.

აღნიშნული შემთხვევის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივი მოსახლეობა, მათი განცხადებით, გაჟონვის ფაქტი პირველი არ არის და ნავთობის ყოველი გადატუმბვის დროს მიმდებარე ტერიტორიაზე აუტანელი სუნი დგება ხოლმე.

შემთხვევის ადგილზე აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ. მათი განცხადებით, ნავთობტერმინალს აქვს ვალდებულება, რომ გაჟონვისა და აორთქლების საწინააღმდეგო ფილტრები გამოიყენოს და შესაბამისი დანადგარები მათ უკვე შეძენილი აქვთ, რაც მომავალში პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს. აღმაშფოთებელი მხოლოდ ის არის, რომ არავინ ჩქარობს, რათა დროულად იქნეს დამონტაჟებული აღნიშნული დანადგარები, რაც თავიდან აცილებდა მოსახლეობას არასასურველ შედეგებს.

საკ. ინფ.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ირლანდიელები დავით ზირაქაშვილს ძალიან უფრთხიან

საერთოდ, ამა თუ იმ ქვეყანაში, ძირითადად, სპორტის იმ სახეობას უტრიალებენ ხოლმე სპეციალისტები, რომელიც სხვებზე მეტად წარმატებულია. ეჭვსგარეშეა, რომ საქართველოს მორაგბეთა წარმატებებს მრავალი ქვეყანა ისურვებდა. ამიტომაც შუქდება ხოლმე, უმეტესწილად, გაზეთების გვერდებზე იმ ჩვენი რეგბისტების საგმირო სახელები, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი საქართველოს!

სარაგბო ევროთასების გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – **„ჰაინეკენის თასისთვის“** ქართველ მორაგბეთა ერთი გუნდი იბრძვის.

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშების ნახევარფინალში კი ერთბაშად ორმა **„ქართულმა გუნდმა“, „ტულონმა“** და **„ბრივმა“** გააღწია. ორივეს ამ თასის მოგების ერთნაირი შანსი გააჩნია.

ჰაინეკენის თასი. ნახევარფინალი ალსტერი-ედინბურგი, კლერმონი-ლენსტერი

დავით ზირაქაშვილის **„კლერმონი“**, რომელიც წელს სტაბილურად ასპარეზობს და საფრანგეთის ჩემპიონობაზეც აცხადებს პრეტენზიას, **„ჰაინეკენის თასის“** ნახევარფინალში შარშანდელ გამარჯვებულს ირლანდიურ **„ლენსტერს“** დაუპირისპირდება.

თამაში კლერმონიდან სამი საათის სავალზე, **„ბორდოში“** გაიმართება, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. **„შაბან დელმას“** სტადიონის ტრიბუნები ყვთელ-ლურჯი ფერებით იქნება მოჭედილი. აღსანიშნავია, რომ **„ვულკანებს“** 42 თამაშია შინ არ წაუგიათ.

სამაგიეროდ, **„ლენსტერს“** ევროთასებზე ზედიზედ 13 თამაში აქვს მოგებული. დუბლინელებმა ყველა ამ წარმატებას მიაღწია ჯგუფურ ტურნირში, მაშინ, როცა **„კლერმონმა“**, ირლანდიურ **„ალსტერთან“** და ინგლისურ **„ლესტერთან“** მატჩები **„დამაჯერებლად“** წააგო.

„ვულკანების“ თავკაცმა ახალზელანდიელმა ვერნ კოტერმა საფრანგეთის ჩემპიონატში **„მონპელიესთან“** გამარჯვების შემდეგ, ორი ცვლილება განახორციელა. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდნენ უკანახაზელები, ჟულიენ მალზიო და ორელიან რუჟერი.

ირლანდიური პრესა თავიანთი გუნდისთვის საფრთხედ **„კლერმონის“** ორ მორაგბეს, ავსტრალიელ მგეზავ ბრუკ ჯეიმზს და შერკინების ქართველ ბურჯს დავით ზირაქაშვილს მიიჩნევენ.

„ის შესანიშნავად ირჯება როგორც შერკინებისას, ისე ღია თამაშში. მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ქართველ პირველხაზელს ლენსტერელები განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ეთამაშონ“,– წერენ რაგბის ირლანდელი სპეციალისტები.

ცხადია, ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ერთი სიტყვით, **„კლერმონს“** საკუთარ მოედანზე გამარჯვების კარგი შანსი აქვს. ბევრს მიაჩნია, რომ **„ჰაინეკენის თასის“** მფლობელი სწორედ ამ წყვილში გამარჯვებული იქნება.

ნახევარფინალის მეორე წყვილში ირლანდიური **„ალსტერი“** შინ მიიღებს დიმიტრი ბასილაიას მომავალ გუნდს, შოტლანდიურ **„ედინბურგს“**.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყოფილი ასისტენტის, მაიკლ ბრედლის სამწყსომ მეოთხედფინალში ერთი სასწაული უკვე მოახდინა. ედინბურგელებმა გათამაშებას ევროპული გრანდი, ჯაბა ბრეგვაძისა და აქვსენტი გიორგაძის **„ტულუზი“** გამოთიშეს. თუმცა სტუმრად ირალანდიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დამარცხება ნამდვილად გაუჭირდება.

ამასობაში ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა **„მიდი ოლიმპიკმა“** გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2014 წლიდან შესაძლოა ევროთასების გათამაშების ფორმატი შეიცვალოს.

აღსანიშნავია, რომ **„ჰაინეკენის თასისა“** და **„ემლინ ჩელენჯ კაპის“** გათამაშება ნელ-ნელა სულ უფრო პოპულარული და პრესტიჟული ხდება. მარტო **„ჰაინეკენის თასის“** ჯგუფურმა ტურნირმა ორგანიზატორებს 50 მილიონი ევროს მოგება მოუტანა, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა.

რეფორმაზე ძირითადად ფრანგი სპეციალისტები მუშაობენ. პროექტის ერთ-ერთი პუნქტი **„ჰაინეკენის თაისის“** გათამაშებაში გუნდების ოცდაოთხიდან ოცამდე შემცირებას ითვალისწინებს.

სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. გამორიცხული არ არის ევროთასებში რამდენიმე ახალი სარაგბო ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კლუბებიც ჩაერთონ.

ჩელენჯ კაპი. ნახევარფინალი ბირიცი-ბრივი, ტულონი-სტად ფრანსე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **„ემლინ ჩელენჯ კაპის“** გათამაშების ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირის გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა ფრანგების საშინაო საქმე გახდა, რადგან ნახევარფინალში ოთხივე გუნდი საფრაგეთიდანაა.

დავით ქუბრიაშვილის **„ტულონი“** შინ მიიღებს პარიზულ **„სტად ფრანსეს“**. ტულონელებს საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფში თამაში თითქმის განადდებული აქვთ და ევროთასებზე საასპარეზოდ სრულად მობილიზებულნი გამოვლენ. მით უფრო, რომ **„ტულონის“** მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა, სეზონის დასაწყისშივე განაცხადა, რომ ქვეყნის ჩემპიონობასთან ერთად, მისმა გუნდმა **„ემლინ ჩელენჯ კაპის“** გათამაშებაც უნდა მოიგოს.

შეძლებენ თუ არა ტულონელები პრეზიდენტის ოცნების ასრულებას, ძნელი სათქმელია. თუმცა ამ გუნდს შინ **„სტად ფრანსეს“** დამარცხება და ფინალში გასვლა რეალურად ძალუძს, მით უფრო, რომ მეტოქეს ძირითადი შემადგენლობის ყველა წამყვანი მოთამაშით დაუხვდება.

ცხადია, ტულონელ ქომაგებს ყველაზე მტად ინგლისელი მგეზავის ჯონი ვილკინსონის ეიმედებათ, რომელიც ფეხჩუბინობით გამორჩეულია. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ქუბრიაშვილიც.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა და ირაკლი ნატრიაშვილის **„ბრივი“** სტუმრად ითამაშებს დიმიტრი იაშვილის ბასკურ **„ბიარიცთან“**. ბასკებმა საფრანგეთის ჩემპიონატის განვლილ ტურში დამაჯერებლად დაამარცხეს პარიზული **„მეტრო რასინგი“**, რისი წყალობითაც ელიტურ, პირველ დივიზიონში ადგილი შეინარჩუნეს.

სამაგიეროდ, ისევ რთულ მდგომარეობაში იმყოფება **„ბრივი“**, რომელსაც დივიზიონიდან გავარდნა რეალურად ემუქრება და ახლა **„ემლინ ჩელენჯ კაპისთვის“** ნამდვილად არ სცხელა. ჩვენებურთა გუნდი გასვლით შეხვედრებში ბევრად უარესად ასპარეზობს, ვიდრე შინ.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ საქართველოს ნაკრების ბურჯები დავით ხინჩაგიშვილი და ვასილ კაკოვინი ტრავმირებულნი არიან. ისინი გუნდს ვერაფრით დაეხმარებიან. ირაკლი ნატრიაშვილი კი ძირითად შემადგენლობაში ითამაშეებს.

იუმორი

* * *

– ჩაგჭრეს? – ეკითხება კონსერვატორიაში ბულბულს მამალი.

– ჩამჭრეს, ჩამჭრეს!

– მერე, სამართალია ეგ?! ყვავი მიიღეს, შენ კი ჩაგჭრეს!

– ყვავმა ინგლისურად იმღერა!

* * *

მოსამართლე განსასჯელს:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ ცოლი მეცხრე სართულიდან გულმავიწყობის გამო გადმოაგდეთ?

– დიახ, ბატონო. რომ გადმოვაგდე, მერე გამახსენდა, რომ ბინა გამოვიცვალეთ. ადრე პირველ სართულზე ვცხოვრობდით.

* * *

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგიტატორი გიუებს ლექციას უკითხავს, თუ როგორი საამური ცხოვრება გვაქვს ფასების მატების გამო. გიუები თავგამოდებით უკრავენ ტაშს.

– შენ რატომ არ უკრავ ტაშს? – ეკითხება ერთ-ერთს, რომელიც თავისთვის დგას კარებთან.

– მე სანიტარი ვარ, ბატონო...

* * *

ორნი საუბრობენ კორპუსთან.

– რა ჭკვიანია, ჩვენი ახალი მეზობელი!

– რაში გამოიხატება მისი ჭკუა?

– წამლები რომ გააძვირეს, ხომ იცი!

– ეგ ვინ არ იცის.

– ჰო და, ჩვენი მეზობელი იაფიან წამლებს ყიდულობს და იმის მიხედვით ხდება ავად!

ბატონი გიორგი სიჭინავა 70 წლისაა

გიორგი ორესტის ძე სიჭინავა დაიბადა 1942 წლის 10 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, პედაგოგის ოჯახში. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონმა გიორგი სიჭინავამ სწავლა განაგრძო სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე მუშაობდა სოხუმის რაიონული გაზეთის რედაქციაში და ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას.

გიორგი სიჭინავა ადრეული ასაკიდან წერდა ლექსებსა და მინიატურებს და აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში. 1971 წლიდან იგი საოლქო გაზეთში გადავიდა სამუშაოდ და იქ აგრძელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას. ამავე წელს გამოვიდა მკითხველის სამსჯავროზე მისი პირველი მოთხრობების კრებული **„დაბრუნება“**, რომელმაც დადებითი გამოხმაურებს ჰპოვა მკითხველებსა და ლიტერატურის სპეციალისტებს შორის.

ამის შემდეგ, 1974 და 1976 წლებში ზედიზედ გამოვიდა ბატონ გიორგი სიჭინავას პროზაულ ნაწარმოებთა კრებულები – **„სამი ცისფერი რგოლი“** და **„მოლოდინი“**. მისი ვრცელი მოთხრობა **„მოლოდინი“** თითქმის გამოცემისთანავე ითარგმნა და დაისტამბა რუსულ ენაზე, მოსკოვში (მთარგმნელი დ. კონდახსაზოვი), რასაც მკითხველთა რუსული აუდიტორიის დიდი მოწონება და გამოხმაურება მოჰყვა.

1981 წელს გიორგი სიჭინავა ცნობილ მწერალთა რეკომენდაციით მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრად. 1982-1987 წლებში ბატონი გიორგი ქართულენოვან ლიტერატურულ ალმანახ **„რიწის“** მთავარი რედაქტორია.

1982 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი – **„გვირილების მინდორი“**. 1986 წელს კი დაისტამბა გიორგი სიჭინავას მომდევნო რომანი **„უთვისტომო“**. 1986 წელს უკვე სახელგანსმენილი მწერლის რჩეული ნაწარმოებების კრებული მკითხველს მიაწოდა გამომცემლობა **„მერანმა“**.

გიორგი სიჭინავა გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მაგრამ კრიმინალების მიერ ჩვენი კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, დასტოვა მწერალთა კავშირის რიგები და დღემდე ეწევა დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას.

ბატონი გიორგი სიჭინავა გახლდათ საქართველოს დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერი, რომლის რჩევითაც დაარფუძვნა გაზეთი **„აღდგომა“** და შემდეგ გახლდათ მისი მთავარი რედაქტორი. პრეზიდენტის ტრაგიკული აღსასრულის შემდგომ, კრიმინალი ხელისუფლებისაგან შეწუხებული გიორგი სიჭინავა იძულებული შეიქმნა, რომ ოჯახთან ერთად გახიზნულიყო ემიგრაციაში, სადაც რამდენიმე მტანჯველი წელიწადი გაატარა.

1996 წელს ბატონი გიორგი ოჯახიანად დაბრუნდა საქართველოში და დააარსა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჟურნალი **„აია“**, რომლის მთავარი რედაქტორიც გახლავთ დღემდე.

აფხაზეთიდან სეპარატისტებისა, ენგურგამოღმა კი უკანონო მთავრობის მიერ დევნილი მწერალი დიდი ძალისხმევის შედეგად ახერხებს დამკვიდრებას და შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას. იგი ქმნის ნაწარმოებებს როგორც ქართულ, ასევე მეგრულ ენაზეც. გიორგი სიჭინავამ დააარსა ზანურენოვანი ჟურნალი **„ირიათონი“**. მის კალამს ეკუთვნის მეგრული ენის თვითმასწავლებელი **„ნანაში ნინა“**, ლექსების კრებული **„შურობუმუ“**, მოთხრობების, ლექსების, თქმულებების სრული კრებული – **„ნანაგე“** და ა.შ. მანვე დაწერა ისტორიული რომანი **„უტუ მიქა“** ოთხ ტომად.

ამჟამად ბატონი გიორგი სიჭინავა მუშაობს ახალ ისტორიულ რომანზე, რომლის პირობითი სახელწოდებაა **„ლაზთა მეფე გუბაზი“**.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** და გაზეთი **„ილორი“** ულოცავენ ბატონ გიორგის დაბადებიდან 70 წელს, უსურვებენ ჯანმრთელობას და წარმატებებს შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ISSN 1987-8966 ილორი

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge